პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 233 (9701) | პარასკევი, 2 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მეცადინეობის პირველი დღე პარტიული განათლების ქსელში (მე-2 გვერდი).
ს. ქოჩლაძე. — უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი (მე-2 გვერდი).
გ. კუხალეიშვილი. — ჩვენი სასიცოცხლო, ღვიძლი საქმე (მე-2 გვერდი).
სადღეისო თემაზე. — საჩივრის წიგნი (მე-3 გვერდი).
ქ. ოტიაშვილი. — მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი უძლეველია (მე-3 გვერდი).
საყურადღებო „წვრილმანები“ (მე-3 გვერდი).
ახალი თეატრალური სეზონი. — ჩვენი კოლექტივის პირველხარისხოვანი ამოცანა. იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლებისათვის (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია (მე-4 გვერდი).
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ჯან ხან-ფუს პროტესტი ინგლისის მთავრობისადმი (მე-4 გვერდი).
დავა ბარაინეს ოაზისის გარშემო (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს!

დიდი ჩინელი ხალხი დღეს აღნიშნავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავს. ჩინელი ხალხის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავ დღეს სიხარულით დღესასწაულობენ საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მისასალმებელ დეპეშაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგ მაო ძე-დუნისადმი, რაც დღეს ქვეყნდება, ნათქვამია:

„საბჭოთა ხალხი მხურვალედ უსურვებს დიდ ჩინელ ხალხს ახალ წარმატებებს ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის საქმეში, თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შემდგომი ყოველმხრივი განმტკიცების საქმეში.

დაე იზრდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განსამტკიცებლად“.

ყველა საბჭოთა ადამიანის იგივე ღრმა გრძნობებია გამოთქმული სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის დეპეშაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ჯოუ ენ-ლაისადმი, რაც დღეს ქვეყნდება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ და ჰიტლერულ ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ ჩინეთის სახალხო რევოლუცია მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და თვალსაჩინო მოვლენაა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შედეგად კაპიტალიზმის სისტემას სამუდამოდ ჩამოსცილდა გიგანტური ქვეყანა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ულმობლად ძარცვავდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ ამერიკელი, იაპონელი და ევროპელი იმპერიალისტები.

ძველი აზია, რომლის ხვედრი იყო უცხოეთის ძალების მიერ ხალხთა საშინელი ჩაგვრა და დამონება, სამუდამოდ ბარდება წარსულს. ვერავინ ვერ შეძლებს შეაჩეროს, ჩაშალოს აღმოსავლეთის ხალხთა აღორძინების ის დიადი პროცესი, რომელიც ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანია და რომელიც აღმაფრთოვანებელ პერსპექტივებს სახავს მთელი თანამედროვე ცივილიზაციის შემდგომი აღმავლობისათვის. აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი პროგრესი იმის მკაფიო მაგალითად მიაჩნიათ, თუ რა დიად საქმეთა განხორციელება შეუძლია ხალხს, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი.

განვლილმა ოთხმა წელმა მთელ მსოფლიოს დაანახვა დიდი სიცოცხლისუნარიანობა და სიმტკიცე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომელიც წარმატებით ახორციელებს ისტორიულ გარდაქმნებს ჩინეთში და უზრუნველყოფს ეკონომიკის, კულტურის აღმავლობას და ხალხის მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩინელი ხალხი თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას. ჩინელი ხალხის ისტორიული მონაპოვარია მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირი. განხორციელდა აგრარული რეფორმა — სახალხო რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი და უძნელესი ამოცანა. სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა. უდიდესი აღფრთოვანებითა და აღმავლობით შეუდგა ჩინელი ხალხი წელს პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ამ გეგმის ძირითადი ამოცანაა მჭიდროდ დარაზმოს მთავარი ძალები მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის საფუძვლების შექმნისა და მისი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების მიზნით, მოამზადოს კვალიფიციური კადრები ეკონომიური მშენებლობისათვის, განავითაროს ტრანსპორტი, მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და გააფართოოს ვაჭრობა, ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის თანდათანობით კოოპერირებას.

ეკონომიკის აღდგენა და ზრდა, შრომის ნაყოფიერების გადიდება საშუალებას აძლევს ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და სახალხო მთავრობას წლითიწლობით გააუმჯობესონ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, განავითარონ კულტურა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი პროგრესი მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობას იწვევს. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩინელი ხალხის წინსვლა თავისი სამშობლოს ეროვნული აღმავლობისა და აყვავების გზაზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გახდა საერთაშორისო ძალა, რომელიც ნებას არ აძლევს იმპერიალისტებს თავისუფლად დაიმონონ აზიის ხალხები, დაუსჯელად განახორციელონ პოლიტიკა, რომლის მიზანი ის არის, რომ აზია ახალი მსოფლიო ომის კერად გადაიქცეს. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც წინასწარი განზრახვით ცდილობენ ხელოვნურად გაართულონ ვითარება აღმოსავლეთში, შეუძლიათ აბუჩად აიგდონ დიდი ჩინელი ხალხი და დაეყრდნონ ისეთ ანტიხალხურ ნაძირალებს, როგორიც არის ჩანკაიშელთა ხროვა. ასეთი პოლიტიკა ბეცი პოლიტიკაა. ვინაიდან არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას ძირეული ცვლილებანი, რომლებიც აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში მოხდა და რომლებიც თავის კვალს აჩნევენ ამ რაიონში მცხოვრები მილიარდზე მეტი ადამიანის ომისშემდგომ ცხოვრებას.

ჩვენს დროში შეუძლებელია საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა აღმოსავლეთში, აზიასა და მთელ მსოფლიოში, თუ ამაში მონაწილეობა არ მიიღო სახალხო ჩინეთმა. კორეის ამბები ცხადყოფენ, რომ ჩინელი ხალხი აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მძლავრი დასაყრდენი გახდა მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჩინელ სახალხო მოხალისეთა უკვდავი გმირობა აზიის ხალხთა ურღვევი კავშირის დადასტურებაა. იგი იმის ნიშანია, რომ აღმოსავლეთში დაიწყო ახალი ეპოქა, იმის ნიშანია, რომ აზიის ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოიპოვონ და დაიცვან ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არ დაუშვან, რომ აზია ახალი მსოფლიო ომის კერა გახდეს.

შექმნილი ობიექტური პირობები საშუალებას აძლევენ ჩვენს დროში აღმოსავლეთის მოწინავე საზოგადოებრივ ძალებს მშვიდობის ციხე-სიმაგრედ გადააქციონ აზია. ამ ობიექტურ პირობებში უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო წონა და პოლიტიკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომელიც ახლა აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში გამოდის როგორც სტაბილიზაციის მძლავრი ფაქტორი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ახალი დიდი სახელმწიფოა, რომელიც მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად იცავს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

ამაოა აგრესიული ძალების ცდები — განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხთა ისტორიული პროგრესის საქმეს. რეაქციული, განუხორციელებელი უტოპიაა იმპერიალისტური წრეების ცდები — განახორციელონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იზოლაცია. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გეგმები, რომელთა მიზანია არ დაუშვან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, გარდუვალად ჩაიფუშება, ისევე როგორც ჩაიფუშა მათი გეგმები, რომელთა მიზანი იყო სახალხო ჩინეთის დახრჩობა ეკონომიური ბლოკადის საშუალებით.

ჩინელი ხალხის დიდი გამარჯვებანი ეკონომიური მშენებლობის დარგში და საერთაშორისო ასპარეზზე თვალსაჩინო წვლილია საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ყველა ეს გამარჯვება დაკავშირებულია ფართო, უანგარო, ძმურ დახმარებასთან, რომელსაც სახალხო ჩინეთს უწევს საბჭოთა კავშირი. საბჭოთა დახმარება, რომელიც ემყარება ორი დიდი ხალხის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, მათს საერთო მისწრაფებას მშვიდობისა და თანამშრომლობისადმი, გამოხატავს კაპიტალიზმის დროს შეუძლებელ, ახალ თანასწორუფლებიან ურთიერთობას, რომელიც დემოკრატიისა და სოციალიზმის უძლეველი ბანაკის ქვეყნების ორგანული თვისებაა.

საბჭოთა კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ შექმნეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთკავშირის ფართო სისტემა. სსრ კავშირმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შეღავათიანი პირობებით მისცა გრძელვადიანი კრედიტი, უნაცვალგებოდ გადასცა ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის ერთობლივად მართვის თავისი უფლებები და ამ რკინიგზის მთელი ქონება. საბჭოთა კავშირმა ჩინელ ხალხს გაუზიარა სოციალისტური მშენებლობის თავისი გამოცდილების დაუშრეტელი საგანძური.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მზარდი და სულ უფრო მტკიცე მეგობრობის ახალი მკაფიო გამოვლინება იყო ამასწინანდელი მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის. ამ მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა მთავრობა დათანხმდა სისტემატურად გაუწიოს ჩინეთს ეკონომიური და ტექნიკური დახმარება 91 ახალი საწარმოს მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში და იმ 50 საწარმოს მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში, რომლებიც ახლა შენდება. ამას, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ამხანაგი მაო ძე-დუნი აღნიშნავს, მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება ჩინეთის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმში ჩინეთის თანდათანობით გადასვლისათვის, აგრეთვე მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ძალების განმტკიცებისათვის, ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირისა და მშვიდობისმოყვარე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობა მშვიდობის მძლავრი ბურჯია. ამ მეგობრობას მიესალმება ყველა ხალხი, რადგან მათ იგი მიაჩნიათ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და უზრუნველყოფის ერთ-ერთ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პირობად. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავის დღეს საბჭოთა ხალხი მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის დიდი ჩინეთის ხალხს!

„პრავდის“ 1-ლი მოწინავე.

## რუმინეთში მეორედ გამოვიდა ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

ბუქარესტი. (საკდესი). რუმინეთის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ მეორედ გამოუშვა ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

# საბჭოთა საქართველოს დღე

## გორული ხილი სამშობლოს

გორი. („კომუნისტის“ კორ.). [illegible] ... მოსკოვში უკვე გაიგზავნა 24 ტონა გორული ვაშლი და მსხალი, სოჭში — 39 ტონა, ლენინგრადში — 17 ტონა და სხვ. მრავალი ათეული ტონა ხილი გაეგზავნათ აგრეთვე რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნებს.

## მეშახტეები ახალ ბინებს იღებენ

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). სტალინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე, მაიაკოვსკის ქუჩის № 25 ახალი საცხოვრებელი სახლის წინ საოჯახო ნივთებით დატვირთული ავტომანქანა გაჩერდა. ახალ ბინაში გადმოვიდა შახტის სტახანოველი მნგრეველი ი. კობახიძე.

ასზე მეტ მეშახტესა და მშენებელს შორის, რომლებმაც წელს მიიღეს ახალი ბინები, არიან მნგრეველი გ. ცირეკიძე, მებიგე ვ. ვარნოვსკი, ცვლის უფროსი შ. ცნობილაძე და სხვები.

წელს 8 თვეში ტყიბულელმა მეშახტეებმა მიიღეს რვა ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე მთელი გასული წლის მანძილზე.

## ერთი საქარხნო კომიტეტის ბიუჯეტი

რუსთავი. (საკ. კორ.). [illegible] ... სვენებელ სახლებში შვებულების პერიოდი კულტურულად გაატარა ქარხნის 260-ზე მეტმა მუშაკმა. 60.000-მდე მანეთი დახარჯულია პიონერთა ბანაკებისათვის სურამში, სადაც ზაფხულში მეტალურგთა 155-მა ბავშვმა დაისვენა.

დიდი თანხებია გამოყოფილი აგრეთვე პენსიონერთა დასახმარებლად, კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის, ფიზკულტურულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, ბიბლიოთეკებისათვის მხატვრული ლიტერატურის შესაძენად და სხვ.

## მაღაროელებმა 3.169.700 მანეთი დაზოგეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები წელს რენტაბელურად მუშაობენ — ზრდიან პირველხარისხოვანი მარგანეცის გამოშვებას, ამცირებენ მადნის თვითღირებულებას. მიმდინარე სამეურნეო წელს ჭიათურელმა მაღაროელებმა უკვე 3.169.700 მანეთი დაზოგეს. კვლავ მომჭირნეობით მუშაობს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროს — ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

## რადიო კოლმეურნეთა ბინებში

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). [illegible] ... ქინძათის კოლმეურნეობებში.

ქვიშხეთელი კოლმეურნენი საკუთარი რადიოკვანძის საშუალებით თავიანთ ბინებში ყოველდღე ისმენენ გადაცემებს თბილისიდან და მოსკოვიდან.

## არტეზიული ჭები საძოვრებზე

ამ დღეებში თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებზე გაემგზავრა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს საძოვრების სამელიორაციო-სამშენებლო ტრესტის მუშაკთა ბრიგადა. ამ ბრიგადას აქვს სპეციალური აგრეგატი არტეზიული ჭების გასაბურღავად.

ბრიგადა სტავროპოლის მხარეში საძოვრებზე გაბურღავს ოთხ მძლავრ არტეზიულ ჭას, რომლებითაც ისარგებლებენ საქართველოდან იქ საზამთრო საძოვრებზე გარეკილი საქონლისათვის წყლის დასალევებლად. გარდა არტეზიული ჭებისა, აქ წლის ბოლომდე გაითხრება 25 შახტური ჭა.

ტრესტის მეორე ბრიგადა ასეთივე აღჭურვილობით წავიდა კაჭრეთის რაიონში. აქ უნდა გაიბურღოს სამი არტეზიული ჭა. („კომუნისტის“ კორ.).

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში







[illegible]

სინხუას ფოტოქრონიკა.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეოთხე წლისთავის გამო

მოსკოვის მშრომელნი აღნიშნავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეოთხე წლისთავს.

30 სექტემბერს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების ცენტრალურ ლექტორიუმში გაიმართა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ი. ავარინის ლექცია „დიდი ჩინელი ხალხის წარმატებანი მძლავრი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში“.

უცხოეთის ლიტერატურის საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ჩინელი ავტორების წიგნები, გამოცემული საბჭოთა კავშირში. ამ უკანასკნელ ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში გამოიცა ჩინელი მწერლების ასზე მეტი წიგნი ექვს მილიონ ცალზე მეტი საერთო ტირაჟით. გამოცემულია ჩინეთის ახალი ლიტერატურის ფუძემდებლის ლუ სინის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის გო მო-ჟოს, სტალინური პრემიის ლაურეატების დინ ლინისა და ჯოუ ლი-ბოს ნაწარმოებნი. მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა ამზადებს ჩინელ კლასიკოსთა წიგნების გამოცემას. რუსულ ენაზე პირველად გამოქვეყნდება დიდი ჩინელი პოეტის ციუ იუანის ლექსები.

ამ დღეებში მოსკოვის თერთმეტი კინოთეატრის ეკრანებზე, კლუბებსა და კულტურის სასახლეებში უჩვენებენ საუკეთესო ჩინურ მხატვრულ ფილმებს: „ახალი გმირების ამბავი“, „მებრძოლი მეგობრები“, „ჩინეთის ქალიშვილები“, „ფოლადის ჯარისკაცი“, „ნაპერწკლები“, „ჭაღარა ქალიშვილი“ და სხვ.

საბჭოთა მაყურებლები დიდ ინტერესს იჩენენ ჩინეთის დრამატურგიის ნაწარმოებებისადმი. ევგ. ვახტანგოვის სახელობის თეატრში დაიდგა ხე ძინ-ჯისა და დინ ნის „ჭაღარა ქალიშვილი“, საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში ხუ კეს „ისინი ბრძოლებში გაიზარდნენ“. (საკდესი).

## ბროლისა და ლალის შუშის უნიკალური ვაზა

ლენინგრადი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მხატვრული შუშის ქარხანაში დამთავრდა ბროლისა და ლალის შუშის 130 სანტიმეტრი სიმაღლის უნიკალური ვაზის გაკეთება. ვაზის ცალ მხარეზე გამოსახულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ღერბები, სხვა მხარეებზე — პეკინის სასახლის რელიეფური სილუეტი სადღესასწაულო ფეიერვერკის შუქის ფონზე და მოსკოვის კრემლის მაცხოვრის კოშკის სილუეტი ასეთსავე ფონზე. ნახატებს გარს არტყია თავთავისა და ხეხილის ფოთლების დეკორაციული კომპოზიციები, რომლებიც ლამაზად არის ამოკვეთილი. იქვე ამოკვეთილია სიტყვები ფართოდ ცნობილი სიმღერიდან „მოსკოვი — პეკინი“: „ნათელი შრომისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის“.

ვაზის თავზე მუხისა და დაფნის ფოთლებში ჩასმულია სსრ კავშირისა და ჩინეთის რელიეფური გერბები; ოქროს ასოებით აწერია: „დაე განმტკიცდეს და აყვავდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა“.

რთული მხატვრული სამუშაო მხატვარ ი. მუნტანის ესკიზების მიხედვით შეასრულეს შუშის მბერავმა ბ. ერიომინმა, გრავიორმა პ. პოროხოვმა და მჭრელმა ვ. გორბუნოვმა და ნ. საინმა.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი ამხ. მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გადაეცა საბჭოთა მეურნეობები, ცხენსაშენი და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად დაინიშნა ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცადინეობის პირველი დღე პარტიული განათლების ქსელში

## ორგანიზებულად, მომზადებულად

პარტიული განათლების მთელი სისტემის მუშაობა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში შარშან სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. პარტიულმა ორგანიზაციამ გაითვალისწინა გასული წლის შეცდომები და დროზე დაიწყო ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. მთავარი ყურადღება მიექცა პროპაგანდისტთა სწორად შერჩევას და წრეების სწორად დაკომპლექტებას. გათვალისწინებულ იქნა მსმენელთა მომზადების დონე, სურვილი, აგრეთვე ის, თუ რომელ ცვლაში უხდებათ მუშაობა. სულ შეიქმნა 12 წრე. გარდა ამისა მუშაობას განაგრძობს პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი მუდმივმოქმედი სემინარი.

25 სექტემბერს ღია პარტიულმა კრებამ განიხილა პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. იმისათვის, რომ პირველ დღიდანვე მეცადინეობა ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე დაწყებულიყო, თვითეულ წრეზე მიმაგრებულ იქნა პარტიული ბიუროს წევრი. მათ უზრუნველყვეს წრეების მეცადინეობისათვის სათანადო ბინების შერჩევა, გააცნეს წრის მსმენელებს, თუ ვინ არის მათი პროპაგანდისტი, სად და როდის შედგება მეცადინეობა. ასეთი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ მეცადინეობა პარტიული განათლების სისტემაში 1 ოქტომბერს ორგანიზებულად დაიწყო.

საინტერესოდ, მაღალ იდეურ დონეზე მოეწყო პირველი მეცადინეობა პარტიის ისტორიის შემსწავლელ ძირითადი ტიპის წრეებში, რომელთა პროპაგანდისტებია ვ. ნოდია და რ. გობრონიძე. ამ წრეებში არასაპატიო მიზეზით არც ერთ მსმენელს არ გაუცდენია მეცადინეობა. პროპაგანდისტები პასუხისმგებლობით მოჰკიდებიან საქმეს, მეცადინეობისათვის ღრმად მომზადებულან, მოფიქრებულად შეუდგენიათ საუბრის გეგმა. განსაკუთრებით ცოცხალი, დახვეწილი იყო პროპაგანდისტ ვ. ნოდიას საუბარი. ორგანიზაციული საკითხების მოგვარების შემდეგ პროპაგანდისტებმა მეცადინეობა მოაწყეს თემაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი", ფართოდ გამოიყენეს თვალსაჩინოება. საუბარი მოხერხებულად დაუკავშირეს ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ ამოცანებს.

იყო ნაკლიც. მაგალითად, კომკავშირელი ი. ჯობინაშვილი ორ წრეშია ჩარიცხული. სამწუხაროდ, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მსმენელმა არ იცოდა სად გამოცხადებულიყო მეცადინეობაზე. პროპაგანდისტ ა. მამაჯანოვს ეტყობოდა, რომ ნაჩქარევად მომზადებულა მეცადინეობისათვის, ამიტომ შეცდომებს უშვებდა, საუბარი არ იყო ნათელი და მჭიდროდ დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან.

**მ. აროშიძე.**

# აღმოვფხვრათ ფორმალიზმი პოლიტიკურ სწავლებაში

კომუნისტების პოლიტიკური სწავლების საქმეში თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას შარშან სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა. პარტორგანიზაციამ მოფიქრებულად ვერ დააკომპლექტა წრეები, არ გაითვალისწინა კომუნისტთა მომზადების დონე და სურვილი. ზოგიერთი კომუნისტი იშვიათად ესწრებოდა მეცადინეობას, არ ადგენდა კონსპექტს, მონაწილეობას არ იღებდა საუბარში.

როცა სასწავლო წლის შედეგები შეაჯამეს გამოირკვა, რომ პარტიულ განათლებაში ჩაბმულ ყველა ამხანაგს როდი ჰქონდა შეთვისებული პროგრამით გათვალისწინებული მასალა. პარტბიურო ყურადღებას არ აქცევდა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, განსაკუთრებით კომკავშირული პოლიტწრეებისათვის. წელს პროპაგანდისტებად შარშანდელთან შედარებით უფრო მომზადებული ამხანაგები შეარჩიეს, მათ შორის საამქროს უფროსები — კომუნისტები ე. კობზიანიძე, ი. ქურდაძე, ა. დათებოვი და სხვები.

პარტორგანიზაციის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ქარხანაში დროზე დაკომპლექტდა პარტიული განათლების ქსელი. 248 კომუნისტიდან თითქმის ყველა გაერთიანებულია პარტიულ სწავლებაში. წრეების დაკომპლექტებისას გაითვალისწინეს კომუნისტთა ცოდნის დონე და სურვილი.

1 ოქტომბერს ქარხანაში ძირითადად ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში. ყველა წრეში მეცადინეობა მიეძღვნა თემას — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი". უნდა აღინიშნოს, რომ მეცადინეობის პირველმა დღემ ნაკლოვანებანიც გამოავლინა. ზოგიერთ წრეში მეცადინეობის იდეური დონე დაბალი იყო. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი გ. აბრამოვი მოუმზადებელი გამოცხადდა მეცადინეობაზე. მან საფუძვლიანად ვერ ილაპარაკა თემის ირგვლივ, დროის გაყვანის მიზნით მეცადინეობის დიდი ნაწილი შეკითხვებს „დაუთმო". სამწუხაროდ, შეკითხვებზეც იგი ამომწურავ პასუხს ვერ აძლევდა. ამიტომ იყო, რომ მსმენელებს ნახევარი საათით ადრე გამოუცხადა „სახლში წადითო". ამასთან ამ წრეში იყო მეცადინეობის გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევებიც.

ასევე შეიძლება ითქვას პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის პროპაგანდისტზე ი. კოტლიაროვზე, რომელსაც შედგენილი არ ჰქონდა თეზისები. მის მიერ ახსნილი თემა დაკავშირებული არ იყო ცხოვრებასთან.

წრეების მსმენელთა უმრავლესობას თან არ ჰქონდა სახელმძღვანელოები და რვეულები.

ზოგიერთი პროპაგანდისტის მომზადების დაბალი დონე იმით აიხსნება, რომ პარტბიუროს პრაქტიკაში შემოღებული არა აქვს პროპაგანდისტთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ქარხანაში ჰყავთ ისეთი პროპაგანდისტები, რომელთა მუშაობის განზოგადება და გავრცელება დიდ ნაყოფს მოიტანდა. პარტბიურომ მიმდინარე სასწავლო წლიდან მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საუკეთესო პროპაგანდისტთა გამოცდილების დანერგვას.

ქარხნის პარტორგანიზაციამ იმას უნდა მიაღწიოს, რომ დაშვებულ არ იქნას დოგმატიზმი და მედავითნეობა პროპაგანდისტულ მუშაობაში, რომ ყველა პროპაგანდისტი მეცადინეობას აწყობდეს ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში.

**ს. არღუნელი.**

# დაარღვიეს ნებაყოფლობის პრინციპი, ჩაშალეს მეცადინეობა

მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის პარტიულ ორგანიზაციებში პირველ დღეს მეცადინეობას შეუდგა 43 პოლიტსკოლა და წრე.

ზუსტად დანიშნულ დროზე შეიკრიბნენ ლენინის სახელობის შახტის პარტორგანიზაციასთან შექმნილი პოლიტსკოლის მსმენელები. პროპაგანდისტი, სამთო ინჟინერი ლ. გოქსაძე მსმენელებს მკაფიოდ, გასაგებ ენაზე ესაუბრა თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი".

ასევე მაღალ იდეურ დონეზე, ცოცხლად და საინტერესოდ მოეწყო მეცადინეობა სტალინის სახელობის შახტთან შექმნილ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, სადაც პროპაგანდისტია გ. გორგაძე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნაკლოვანებანი, რაც პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის პირველ დღეს გამოვლინდა. ტყიბულშახტმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში 1 ოქტომბერს პირველივე მეცადინეობა ჩაიშალა მსმენელთა დიდი უმრავლესობის გამოუცხადებლობის გამო. ასევე ჩაიშალა მეცადინეობა პროპაგანდისტ ა. არსენიძის უპასუხისმგებლობით სტალინის სახელობის შახტის კომკავშირის ორგანიზაციასთან შექმნილ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში. ამავე შახტში დაბალ იდეურ დონეზე მოეწყო მეცადინეობა პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, რომლის პროპაგანდისტს ა. ხუციშვილს არც კონსპექტი და არც საუბრის გეგმა არ აღმოაჩნდა. შეკითხვაზე, თუ რატომ არ მოემზადა მეცადინეობისათვის, მან განაცხადა: მე არ მეგონა დღეს თუ მეცადინეობა იქნებოდა, მხოლოდ ახლა გამაფრთხილეს ამის შესახებო.

გადასაცემი თემის არც კონსპექტი და არც თეზისები არ აღმოაჩნდა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის პროპაგანდისტს ს. კუკულავასაც. ამ წრეში ცუდი იყო დასწრებაც: 18 მსმენელიდან მეცადინეობაზე არ გამოცხადდა 8 მსმენელი. უნდა აღინიშნოს, რომ წრე დაკომპლექტებული არ არის სწორად. მხედველობაში არ არის მიღებული მსმენელთა მომზადება და სურვილი. მაგალითად, კომუნისტ დ. ცქიფურიშვილს სურს ისწავლოს პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, საამისოდ მას მომზადების დონეც აქვს, მაგრამ პარტბიურომ რატომღაც არ გაითვალისწინა მისი სურვილი.

სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც პარტიული განათლების ქსელში სწავლის დაწყების პირველ დღეს გამოვლინდა, პარტიის ტყიბულის რაიკომის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

**ვ. ცირეკიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# სანიმუშოდ მოვამზადოთ პირუტყვის გამოზამთრება

★

## მოწინავე მეცხოველე

ბოლნისი. (საკ. კორ). ეთერ მანაგაძე სამ წელზე მეტია მწველავად მუშაობს ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში. იგი წლითიწლობით ახალ წარმატებებს აღწევს. ეთერ მანაგაძე უვლის და წველის ათ ძროხას. მოწინავე მწველავმა რვა თვეში მოწველა 19.073 ლიტრი რძე და დავალება 119 პროცენტით გაანაღდა.

კარგი მოვლის შედეგად ზოგიერთი ძროხის წველადობამ 6 თვეში 2.000-2.100 ლიტრს მიაღწია. მანაგაძემ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პასუხად იკისრა საშუალოდ მეწველ ძროხაზე მიიღოს 2.500 ლიტრი რძე.

ამ წარმატებებს მანაგაძე იმით აღწევს, რომ მუშაობაში ფართოდ იყენებს ძროხების მოვლის ზოოტექნიკური წესების კომპლექსს და ზუსტად იცავს ფერმაში არსებულ შინაგანაწესს.

ფერმის ოცი მწველავიდან უმრავლესობამ შეასრულა ძროხის წველადობის გეგმები. ახლა ისინი წარმატებით მუშაობენ, რომ სანიმუშოდ მოამზადონ პირუტყვის გამოზამთრებისათვის. საკვების დიდი ნაწილი მიზიდულია ფერმასთან. საზოგადოებრივ პირუტყვს ნათელი, თბილი ბინები აქვს.

## სადგომების მშენებლობას აჭიანურებენ

ზამთარი მოახლოვდა, მაგრამ ბორჯომის რაიონში პირუტყვის სადგომების მშენებლობა და რემონტი ძალზე ჭიანურდება. სადგომების მშენებლობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი კრედიტიდან დღეისათვის ათვისებულია მხოლოდ უმნიშვნელო თანხა — 23 ათასი მანეთი.

სადგომების მშენებლობას განსაკუთრებით უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სოფლების ტბისა და ქვაბისხევის კოლმეურნეობებში. მიმდინარე წლის 26 მარტს ბორჯომის რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებში პირუტყვის სადგომების მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს დაავალა ეს სამუშაო მეორე კვარტალის ბოლოსათვის დაემთავრებინათ.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა შეამოწმა 23 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა. აღმოჩნდა, რომ სოფელ ტბის და ქვაბისხევის კოლმეურნეობებს (თავმჯდომარეები ა. კახაძე და ა. ხაჭაპურიძე) რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება საქმეში ჰქონდათ ჩაკერებული, სადგომების მომზადებისათვის კი არაფერი არ გაკეთებულა.

ნუთუ საკითხის ფორმალურად განხილვით ფიქრობს ბორჯომის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. ზანგურიძე პირუტყვის სადგომების მშენებლობის დამთავრებას?

**ვ. გურგენიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



მეცხოველეობაში ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, რომელიც საგრძნობლად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და ყოველმხრივ ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნას.

ამ მხრივ აღსანიშნავია გარეჯის რაიონის სოფელ დიდმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კარგი ფერმა აქვს. 85 ძროხა მოთავსებულია კეთილმოწყობილ ბინაში. აქ ჰყავთ ისეთი ძროხები, რომლებიც სეზონში იწველიან 3.000 ლიტრ რძეს.

ფერმაში შემოღებულია მექანიზებული ელექტროწველა, განხორციელებულია ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. სურათზე: ელექტროწველა. პირველ პლანზეა (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. მელაშვილი, რომელიც აღრიცხავს თვითეული ძროხის ნაწველს. მწველავები ნ. ქობელაშვილი, ნ. სავჩენკო და ანახან-უმალი უზი წველიან ძროხებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

★

# უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, პარტიული ორგანიზაციების მდივნებს რაიონის ცენტრიდან უამრავი დადგენილებანი და მიმართვები მისდით პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების შესახებ. ისინი თავის მხრივ უფრო ახალ ღონისძიებებს სახავენ პირუტყვის გამოზამთრების — საკვების დაგროვების, სადგომების მშენებლობის შესახებ, მაგრამ საქმე მაინც ადგილიდან არ იძვრის, შედეგი არა ჩანს. თელავის რაიონის კოლმეურნეობებში უხეში საკვების დამზადების გეგმის შესრულებას ჯერ კიდევ ათი ათას ტონაზე მეტი აკლია. ეს იმ დროს, როცა ალაზნის ველზე ნამჯა ფუჭდება, ხოლო მისი შეგროვება-დაზვინვით თავს არ იწუხებენ.

ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ი. ყარაულაშვილი) ორი ათას ტონაზე მეტი უხეში საკვები სჭირდება. ფაქტიურად ათას ტონაზე მეტი არა აქვს. საკვებმოპოვების ბრიგადა აქ ფორმალურად არსებობს. დიდძალი ნამჯა მინდორში დატოვეს. იგი წვიმამ გააფუჭა. სოფლების ლეჩურის, სანიორისა და ჯუღაანის კოლმეურნეობებს უხეში საკვების დამზადების დავალება სანახევროდაც არ შეუსრულებიათ.

კოლმეურნეობების ცხვარი ზამთრობით აზერბაიჯანის სსრ საძოვრებზე მიდის. იქ ზოგჯერ ბალახი საკმარისი არ არის. ისიც ხდება, რომ ბალახი კარგია, მაგრამ თოვლისა და ყინვის გამო ცხვარი ვერა ძოვს. პირუტყვი რომ არ დაუძლურდეს, ცხადია, საკვები მზად უნდა იყოს. გეგმით რაიონის კოლმეურნეობებმა საზამთრო საძოვრებზე 4.000 ტონა უხეში საკვები უნდა მოიმარაგონ, დღემდე კი 360 ტონაზე მეტი არა აქვთ. ესეც შარშანდელი შემორჩენილია. საკვები სრულიად არ გააჩნიათ კისისხევის, თეთრწყლების, იყალთოს, ფშაველისა და სანიორის კოლმეურნეობებს.

რაიონში წვნიანი საკვების მომარაგების საქმეც არ არის უკეთეს მდგომარეობაში. ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე საკვების დასილოსებას მეორე რიგის საქმედ თვლის. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ნაფარეულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. მთვარელიშვილზე.

ცუდი მდგომარეობაა პირუტყვის სადგომებით უზრუნველყოფის მხრივ. ამით არის გამოწვეული, რომ მიმდინარე წელს გათვალისწინებული 1.000 სულის ტევადობის ბინების ნაცვლად დღემდე დამთავრებულია ბინები მხოლოდ 300 სულისათვის. ვანთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ქ. კირვალიძე) წელს პირუტყვისათვის ახალი სადგომი უნდა აგოს. საამისოდ ადგილი შეარჩიეს და ამით დაკმაყოფილდნენ. ასეთივე მდგომარეობაა კისისხევის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ლაფაური).

პირუტყვის გამოზამთრებისათვის წარმატებით მომზადება დამოკიდებულია სავაჭრო ორგანიზაციებზეც. კოლმეურნეობებს აკლიათ ხის მასალა, შიფერი, ცემენტი და სხვ. ამ საქმის მოგვარება ცეკავშირმა უნდა ითავოს.

ეს მდგომარეობა სასწრაფოდ თუ არ გამოსწორდა, თელავის რაიონში პირუტყვის გამოზამთრებას საფრთხე მოელის.

**ს. ქოჩლაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# რატომ არ გვაქვს ლიტერატურა მეცხოველეობის საკითხებზე

ამას წინათ რაიონულ ცენტრში ჩავედით და „საქწიგნის" მაღაზიაში მეცხოველეობის საკითხებზე ლიტერატურა მოვიკითხეთ.

ინებეთ! — გვითხრა გამყიდველმა და ხუთიოდე სახელწოდების ბროშურა გადმოაწყო.

წიგნები სიხარულით შევიძინეთ, გადავათვალიერეთ კიდეც, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ბროშურები ისეთი ენით აღმოჩნდა დაწერილი, რომ თუ სპეციალური ზოოტექნიკური განათლება არ გაქვს, ბევრ რამეს ვერ გაიგებ. ჩვენ კი გვესაჭიროება ისეთი წიგნი, რომელშიც ცოცხალი და გასაგები ენით იქნება გადმოცემული პრაქტიკული რჩევა-დარიგება მეცხოველეობის სხვადასხვა საკითხზე. ასეთი ლიტერატურა კი ძალიან მცირეა.

როგორც ვიცით, ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ დაიწყო პოპულარული ბროშურების გამოცემა „მეცხოველეობის მუშაკის ბიბლიოთეკის" საერთო სახელწოდებით. სამწუხაროდ, ეს სასარგებლო საქმე დავიწყებას მიეცა.

პოპულარულ ლიტერატურას იშვიათად შეხვდებით რაიონის სასოფლო მაღაზიებში, სოფლის ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში. ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრებზე ხომ საჭირო წიგნს ქართულ ენაზე ვერსად ვერ იშოვნით.

ჩვენს ქვეყანაში ცოტანი როდი არიან მეცხოველეობის ისეთი მუშაკები, რომლებმაც შესანიშნავი გამოცდილება შეიძინეს. ბევრ ჩვენგანს ძალიან სურს გაეცნოს კოსტრომელ, სტავროპოლელ მეცხოველეთა და სხვა მოწინავეთა მდიდარი გამოცდილება, მაგრამ ეს მოუხერხებელია, რადგან ამაზე ქართულად არ არსებობს ბროშურები, მხატვრული ნარკვევები, პლაკატები.

ჩვენ თითქმის მთელი წლის მანძილზე საზაფხულო და ზამთრის საძოვრებზე ცხვართან ვიმყოფებით. ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს პოპულარულ ბროშურებს, წიგნებს, რომლებიც ჩვენთვის გასაგები ენით გვასწავლიდა, თუ როგორ უკეთესად მოვუაროთ ცხვარს, შევინარჩუნოთ ნამატი, გავზარდოთ პროდუქტიულობა.

სოფელ ჩარგლის (დუშეთის რაიონი) ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მწყემსები:

**ს. ნარიმანაშვილი**
**პ. ხირჩლაშვილი**
**ს. მარტიაშვილი**

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" ახალი, წინგადადგმული დიდი ნაბიჯია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ეს დადგენილება ითვალისწინებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. იგი როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ისე ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა მიიღეს თავიანთ ღვიძლ საქმედ, სამოქმედო პროგრამად.

# ჩვენი სასიცოცხლო, ღვიძლი საქმე

პლენუმის დადგენილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფესად განვითარების საკითხებს. კარგად გვესმის, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. ამ პრობლემის გადაჭრა ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში.

რამდენიმე წლის წინათ წითელი სოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობას არ ჰქონდა განვითარებული საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ახლა იგი აქვს და წამყვან დარგს წარმოადგენს. საკმარისია ითქვას, რომ წელს კოლმეურნეობაში დაგეგმილ მთელ ფულად შემოსავალში — ერთ მილიონ 836 ათას მანეთში მეცხოველეობისაგან მიღებული შემოსავალი სამას ათას მანეთზე მეტი იქნება. იგი შემდგომ წლებში ერთიორად გაიზრდება.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ, რათა მიღწეული წარმატებანი განამტკიცონ და უფრო წინ წასწიონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის საქმე, სანიმუშოდ გამოაზამთრონ საზოგადოებრივი პირუტყვი. მათ პირობა დადეს, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის განვითარების 1953 წლის გეგმას, რომელიც 560 სულს ითვალისწინებს, გადაჭარბებით შეასრულებენ. მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების დანერგვით, ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესებით მიღწეულია პროდუქტიულობის წლითიწლობით გადიდება. 1953 წელს წლიური გეგმით თვითეულ ძროხაზე უნდა მივიღოთ რვაასი ლიტრი რძე. რვა თვეში უკვე მოწველილია 874 ლიტრი რძე. მეცხოველეები ამით არ კმაყოფილდებიან. მათ პლენუმის დადგენილების საპასუხოდ ვალდებულება იკისრეს თვითეული ძროხის წველადობა აიყვანონ 1.200 ლიტრამდე.

პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრება დიდად არის დამოკიდებული საკვებ ბაზაზე. ამიტომ დიდ ყურადღებას ვაქცევთ საკვები ბაზის შექმნის საქმეს. წინათ ვჯერდებოდით მარტო მინდვრის საძოვრებს და ვიყენებდით მხოლოდ საფურაჟედ გამოყოფილ სიმინდის ფონდს. ახლა მეწველი ძროხები გადაყვანილი გვყავს ბაგურ კვებაზე. მათ, გარდა უხეში საკვებისა, ვაჭმევთ კოპტონს, ქატოს, სილოსსა და საკვებ ჭარხალს. კოლმეურნეობას თვითონ მოჰყავს საკვები ჭარხალი, საკვები გოგრა და საზამთრო. წელს სილოსი ჩავდეთ 353 ტონა ნაცვლად 350 ტონისა, დამატებით დავასილოსებთ ორმოც ტონას. მომავალი წლისათვის განზრახული გვაქვს თვითეული მეწველი ძროხისათვის გვქონდეს 5-6 ტონა სილოსი. ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ყოველ ძროხას დღეღამეში მივცეთ 25-30 კილოგრამი წვნიანი საკვები.

რაიონში პირველად ჩვენმა კოლმეურნეობამ მოაწყო უხეში საკვების დასართქლებელი უზი. გაკეთებულია ოთხი განყოფილება. თვითეულში დაორთქლილი საკვები იხსნება ყოველ მეოთხე დღეს და ეძლევა ძროხებს. ეს ღონისძიება საგრძნობლად ადიდებს უხეში საკვების ყუათიანობას. საერთოდ, კონცენტრირებული საკვების ფართოდ გამოყენებამ საშუალება მოგვცა ძროხები დღეში მოვწველოთ სამჯერ მაინც.

ამ მიღწევებში დიდი წვლილი შეაქვთ უბრალო, რიგით ადამიანებს, ჩვენს მეცხოველეებს. ქების ღირსია პირუტყვის მომვლელი დ. რაზმაძე. იგი რვა ძროხას უვლის და კიდეც წველის. დავალებას ყოველთვის გადაჭარბებით ანაღდებს. მას არ ჩამორჩება მწველავი ნ. დვალიშვილი. თავის საქმეს კარგად უძღვება ბრიგადირი ა. თამაზაშვილი.

კოლმეურნეობაში კარგად არის განვითარებული მეღორეობა, მეცხენეობა და მეფრინველეობა. ამჟამად გვყავს გეგმით გათვალისწინებულზე 29 ღორით მეტი. ამ დღეებში დამთავრდება ტიპური საღორის მშენებლობა 30 დედა-ღორისათვის თავისი ნამატით. ამ ფერმაში ენერგიული შრომით სახელი გაითქვეს ნ. მაისურაძემ, ი. თათაროვმა და სხვებმა.

გადაჭარბებით არის შესრულებული ცხენების სულადობის წლიური გეგმა. მნიშვნელოვანია მეფრინველეობის ფერმა, სადაც გეგმის გადამეტებით გვყავს 220 ფრთა ფრინველი. ავაშენეთ ახალი საფრინველე 1.500 ფრთა ფრინველისათვის. აქვე მინდვრად მოვაწყეთ ხელოვნური ტბა, იქ დიდი რაოდენობით არის ადგილობრივი მდინარის თევზი, რომლითაც იკვებება მცურავი ფრინველი. ეს წარმატებანი იმის შედეგიც არის, რომ ფერმის გამგე კომუნისტი ნ. მოსიაშვილი, მომვლელი გ. მოსიაშვილი და სხვები სიყვარულით უვლიან ფრინველს.

კოლმეურნეობას მეცხვარეობის ფერმაც აქვს. ამჟამად გვყავს 2.414 სული ცხვარი და თხა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.400-სა. აქ თავდადებული შრომით გამოირჩევიან მწყემსები ი. ნოზაძე, ნ. გურჯიევი, ბრიგადირი შ. სააკოვი და ა. ოქმელაშვილი.

ჩვენ ეს მიღწევები არ გვაკმაყოფილებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მოითხოვა მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა. პარტიის ამ მოწოდებას ვუპასუხებთ შემოქმედებითი შრომის შემდგომი გაძლიერებით.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გაფართოება. დღემდე გვაქვს 310 ჰექტარი საძოვარი და ისიც სამ ადგილას დაქუცმაცებული. ეს ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამ საქმეში მოველით ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებას.

ახლა მეცხოველეები ემზადებიან იმისათვის, რომ ყოველმხრივ მზად შეხვდნენ ზამთარს. ბინები მთლიანად მზად არის. მთელი საკვების 90 პროცენტი მიზიდულია საზამთრო ბინებთან. საკვებად ვამზადებთ სიმინდის ჩალას. საზოგადოებრივ პირუტყვს გამოზამთრებისათვის საკმარისი საკვები ბაზა ექნება.

ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ყველაზე რთული დარგია, რომელიც მოითხოვს ყოველდღიურ ზრუნვას, ყურადღებასა და კვალიფიციურ ხელმძღვანელობას. ამიტომ უფრო ფართოდ დავნერგავთ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებას, მკვეთრად ავამაღლებთ მექანიზაციის დონეს, დავეუფლებით მეცხოველეობის მსხვილი მეურნეობის გაძღოლის ტექნიკას და ეკონომიკას. ვიმუშავებთ ისე, რომ ჩვენი საზოგადოებრივი მეცხოველეობა წლითიწლობით იძლეოდეს სულ უფრო მეტ ხორცს, რძეს, ერბო-კარაქს და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს.

**გ. კუხალეიშვილი,**
ბოლნისის რაიონის წითელი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## სადღეისო თემაზე

### საჩივრის წიგნი

საბჭოთა აპარატის, სავაჭრო ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაჯანსაღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვემოდან კრიტიკას, მასების ხმისადმი, მშრომელთა საჩივრებისა და სიგნალებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას. მშრომელთა საჩივრები მიმართულია ბიუროკრატიზმის, უწესრიგობის, უდისციპლინობის, ყოველგვარ დამახინჯებათა წინააღმდეგ. ასეთ ავადმყოფურ მოვლენებს კი, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათად ვხვდებით.

საჩივრის წიგნი, რომელიც შემოღებულია დაწესებულებებში, მაღაზიებში, საფოსტო განყოფილებებში, სალაროებთან, — წარმოადგენს ქვემოდან კრიტიკის საუკეთესო ფორმას. მომხმარებლის, კლიენტის მიერ ამ წიგნში სახელდახელოდ ჩაწერილი საჩივარი სავულისხმო სიგნალს წარმოადგენს. არ შეიძლება წავუყრუოთ მას. ამ სიგნალის იქით დგას ცოცხალი ადამიანი, რომელიც სამართლიან საყვედურს გამოთქვამს მის მიერ შემჩნეული ნაკლის, რაიმე სახის დარღვევის გამო.

კავშირგაბმულობის ზოგიერთ განყოფილებაში მთელ რიგ დამახინჯებებს ვხვდებით. ხელმომწერლებს ჟურნალ-გაზეთები დროზე არ მისდით, გზავნილებანი ხშირად მისამართის დამახინჯების გამო დიდხანს მოძრაობს და ადრესატს დროზე არ ბარდება, კლიენტებს ამასთანავე ზოგჯერ უხეშად, უსულგულოდ ეპყრობიან. ყოველივე ამის შესახებ ხშირად იწერება საჩივრის წიგნებში, მაგრამ სიგნალები უყურადღებოდ რჩება: ზოგან საჩივრის წიგნი ფორმალურად არსებობს. საქართველოში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს საინსპექციო განყოფილებამ (გამგე რ. შიმშელაშვილი) ამას წინათ აჭარაში გაგზავნა კომპლექსური ბრიგადა კავშირგაბმულობის ორგანოების შესამოწმებლად. შემოწმების აქტში, რომელიც 80-მდე ფურცელს შეადგენს, საჩივრის წიგნების შესახებ მხოლოდ რამდენიმე წინადადება წერია: საჩივრის წიგნი ყველა განყოფილებაშია, მაგრამ ზოგან იგი თვალსაჩინო ადგილას არა აქვთ, გამოკრული არ არის განცხადება, თუ სად, ვისთან ინახება საჩივრის წიგნი.

ბრიგადა არ დაინტერესებულა იმით, რომ ჩაეხედა საჩივრის წიგნებში, შეესწავლა, რა ბედი ეწია მათში ჩაწერილ საჩივრებს. ფოსტას ადგილობრივ განყოფილებათა საჩივრის წიგნებში ჩაწერილ სიგნალებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს აგრეთვე საფოსტო კავშირის განყოფილება (გამგე მ. დავითაშვილი).

აფხაზვაჭრობის სოხუმის № 23 და № 34 მაღაზიების გამგეებს გ. გაბისონიას და გ. ჩილაჩავას საჩივრის წიგნებში ჩაწერილ სიგნალებზე მთელი თვის განმავლობაში პასუხი არ გაუციათ.

კლიენტმა აფხაზკვებტრესტის № 7 სასადილოს საჩივრის წიგნში ჩაწერა, რომ პური და ლუდი იქ ცუდი ხარისხისაა, კლიენტებს არადამაკმაყოფილებლად ემსახურებიან. სასადილოს გამგეს ნ. გარცკიას საჩივარზე პასუხი არ გაუცია.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების № 6 სასადილოს (გამგე გრიგორაშვილი) საჩივრის წიგნში 1-დან 26 ივნისამდე ჩაწერილი 8 საჩივარი დღემდე უყურადღებოდ არის დატოვებული. თბილისის მარცხენა ნაპირის სასადილოების ტრესტის № 23 სასადილოს ფილიალის (გამგე ნ. სხირტლაძე) საჩივრის წიგნი მოუწესრიგებელია, საჩივრებზე პასუხს არ აძლევენ.

მშრომელთა სიგნალები განსაკუთრებულ ყურადღებასა და გულისხმიერებას მოითხოვს. არც ერთი საჩივარი არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ. აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატურად უნდა ამოწმებდნენ საჩივრის წიგნებს და შემდეგ კონტროლს უწევდნენ მათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიმდინარეობას.

უნდა გვახსოვდეს, რომ საჩივრის წიგნი — ქვემოდან კრიტიკის ეს საუკეთესო ფორმა ხელს უწყობს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებას.

## საყურადღებო „წვრილმანები"

### რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის კანონია. ჩვენი დიადი სამშობლოს სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად იზრდება ასიგნობანი სოციალურ-კულტურული მუშაობისათვის, ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ საბჭოთა ადამიანების შრომისა და კულტურული დასვენების პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. ამოცანა ის არის, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გააძლიერონ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. მაგრამ ზოგიერთი ორგანიზაციის მუშაკები თავს ვერ ართმევენ ამ ამოცანის შესრულებას, სუსტად იბრძვიან მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენი გაზეთის რედაქცია ყოველდღე მშრომელთა მრავალ წერილს იღებს. წერილთა ერთ ნაწილში სამართლიანად არის გაკრიტიკებული თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომების და, კერძოდ, სარემონტო კანტორების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საბინაო ფონდის სარემონტო სამუშაოებისადმი. ხშირად სარემონტო კანტორები მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს თვეობით და ზოგჯერ წლობითაც აჭიანურებენ, უდარდელობას იჩენენ, ხოლო რაისაბჭოს აღმასკომების მუშაკები რატომღაც თვალს არიდებენ ასეთ ნაკლოვანებებს.

— კლარა ცეტკინის ქუჩის № 112 სახლის რემონტი, — გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი ს. ფერაძე, — გასულ წელს დაიწყეს, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. კიბეები ავარიულ მდგომარეობაშია, კედლების შესაკეთებელი სამუშაოები ნახევრად არის შესრულებული, ამიტომ მობინადრეებს ბარგი აივნებზე უწყვიათ; საპირფარეშოები მოუწყობელია, რემონტის ნარჩენები ეზოში ყრია, რაც ანტისანიტარიას იწვევს. დახმარებისათვის არაერთხელ მივმართეთ სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგეს ამხ. სურმავას, მაგრამ იგი ყოველთვის დაპირებებით გვისტუმრებს.

ანალოგიური მდგომარეობაა ჯორჯიაშვილის ჩიხის № 3 სახლში. ამ სახლის რემონტი მიმდინარე წლის ივნისში დაიწყეს. მობინადრეებს მოუხდათ დროებით აივნებზე დასახლება, ხოლო ბარგის ეზოში გატანა. როგორც ე. კვირკელია, ქ. ბოლქვაძე და სხვები გვატყობინებენ, სარემონტო ბრიგადის მუშაკები მხოლოდ ხანდახან გამოჩნდებიან და წაიმუშავებენ ხოლმე, რაც საქმეს ვერ შველის, და რემონტი დღემდე ჭიანურდება.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სახლს რემონტი თუცილებლად ესაჭიროება, მაგრამ რაიონული საბჭოს აღმასკომი ამაზე არ ფიქრობს.

მსროლელთა ქუჩა № 15 სახლში კიბეები, აივნის ჭერი და იატაკი ავარიულ მდგომარეობაშია, — გვწერს სახლის რწმუნებული ე. წერეთელი, — მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომი კი მხოლოდ დაპირებებით გვკვებავს. მისი ვარაუდით კიბეები 15 აგვისტოსათვის უნდა შეეკეთებულიყო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება, საქმეს კი არც თავი უჩანს, არც ბოლო.

კრონშტადტის ქუჩა მოუწყობელია. აქ წვიმიან ამინდში გავლა თითქმის შეუძლებელია.

ქუჩაში არის ანტისანიტარია, — გვაცნობებს გაზეთის მკითხველი ნ. მამალაძე, — ხოლო ამავე ქუჩის № 1 სახლში წყალსადენი და საპირფარეშოები წლიდან წლამდე უმოქმედოდ არის. ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის ცნობით, ქუჩის მოკირწყვლა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სამუშაოები ჯერაც არ არის დაწყებული.

სარემონტო სამუშაოები ყოველთვის კეთილსინდისიერად როდი სრულდება. მაგალითად, რუსთაველის პროსპექტის № 18 სახლის რემონტი დიდი ხანი არ არის რაც დამთავრდა, მაგრამ აივნებზე ჭერი რამდენიმე ადგილას უკვე ჩამოინგრა. უხარისხოდ არის შესრულებული სამზარეულოების რემონტიც.

აი რას გვწერს ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველი ე. იმნაიშვილი.

— გარდა ამისა, ამ სახლის ეზოში ბორჯომის წყლის ბაზის მანქანები ისეთ ხმაურს იწვევენ, რომ მობინადრეებს მოსვენება არა აქვთ. ყოველივე ამას კი ნაკლებ ყურადღებას აქცევს კალინინის რაისაბჭოს აღმასკომი.

ზამთარი ახლოვდება. რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მთელი თავიანთი ძალებს მობილიზაცია უნდა გაუკეთონ, რათა უზრუნველყონ სარემონტო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება, ხოლო ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მეტი დახმარება და კონტროლი უნდა გაუწიოს მათ ამ მუშაობაში.

## ერთი დავიწყებული, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ

თბილისში არ არსებობს არავითარი რაზმი თუ ორგანიზაცია, რომელიც მდინარე მტკვარზე უზრუნველყოფდეს ადამიანთა სიცოცხლის უშიშროებას უბედური შემთხვევის დროს. წყალდიდობასა და სხვა შემთხვევაში მილიციის ორგანოებს უხდებათ დახმარებისათვის მიმართონ სახანძრო რაზმს, მეთევზეთა კოლექტივებს, ცურვის მცოდნე ცალკეულ მოქალაქეებს.

დროა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა იზრუნოს ასეთი რაზმისა თუ ორგანიზაციის შექმნისათვის.

**პ. აბუთიძე,**
ქალაქ თბილისის მილიციის მუშაკი.

## წიგნის თარო




საბლიტგამმა გამოსცა პოეტ-აკადემიკოს **იოსებ გრიშაშვილის** საბავშვო ნაწარმოებთა კრებული **„თქვენთვის, ჩემო პატარებო"**. წიგნში შესულია სხვადასხვა დროს დაწერილი 101 ლექსი, პოემა და თარგმნილი ნაწარმოები, რომელთა დიდი უმეტესობა თავის დროზე გამოქვეყნებული იყო ჩვენს საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. ისინი ძირითადად ეხება საბჭოთა ბავშვების ბედნიერ ცხოვრებას, მათს პატრიოტულ მისწრაფებებს. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდაქტიკურ თემაზე დაწერილ ლექსებს.

კრებული ლამაზად არის გაფორმებული მხატვარ ზ. გოგოლაშვილის მიერ, დაბეჭდილია მაღალხარისხოვან ქაღალდზე, ჩასმულია გამძლე ყდაში, შეიცავს 175 გვერდს, ღირს 6 მანეთი და 50 კაპიკი.

### ახალი წიგნები

**ა. ჩეხოვი — მოთხრობები**, საბლიტგამი, 1953 წელი, თბილისი, გვ. 430, ფასი 9 მან. და 90 კაპ.

წიგნში შესულია დიდი რუსი მწერლის 51 მოთხრობა. თარგმანი შესრულებულია პ. წერეთლის, პ. ბახტურიძის, დ. შენგელაიას, ე. მთვარაძის, ე. გოგოლაშვილის, ა. ახალშენიშვილის, ი. პოლუმორდვინოვის, ფ. ნიშნიანიძის, მ. მიქელაძისა და რ. ქებულაძის მიერ. წიგნს დართული აქვს შესავალი წერილი და შენიშვნები. რედაქცია და წინასიტყვაობა ეკუთვნის დ. შენგელაიას.

**ლ. ასათიანი — ცხოვრება აკაკი წერეთლისა**, სახელგამი, 1953 წელი, თბილისი, გვ. 500, ფასი 14 მან. 10 კაპ.

ნაშრომი მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემაა. ავტორს გამოუყენებია ზოგიერთი ახალი მასალა, შეუვსია ცალკეული თავები, რის შედეგად დიდი მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი.

**მ. კვესელავა — ბულგარული ლიტერატურა**, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", თბილისი, გვ. 540, ფასი 13 მან. 15 კაპ.

ეს წიგნი ქართულ ენაზე პირველი ნაშრომია ბულგარეთის ლიტერატურის შესახებ. მასში განხილულია ბულგარული ლიტერატურის ისტორია წარმოშობიდან დღემდე. წიგნს დართული აქვს გამოჩენილი მწერლების ფოტოსურათები, სახელების საძიებელი და ლექსიკონი.

**გ. კიკნაძე. ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის.** რედაქტორები: პროფ. კ. კეკელიძე და დოც. ჰუმბურიძე. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1953 წ., ტირაჟი 3.000, გვ. 438, ფასი 10 მან.

## ახალი თეატრალური სეზონი

### ჩვენი კოლექტ[illegible] პირველხარისხოვანი ამოცანა

18 აგვისტოს სოხუმში გასტროლებით დამთავრდა გასული თეატრალური სეზონი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. განვლილ სეზონში ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი იყო. მაყურებელმა ნახა 7 ახალი და 2 კაპიტალურად განახლებული დადგმა. ქუთაისში გასტროლებისას ვაჩვენეთ 28 სპექტაკლი, ხოლო სოხუმში — 14.

წარმატებების მიუხედავად თეატრს წარსულ სეზონში ჰქონდა ნაკლოვანებები, რაც მომავალ მუშაობაში უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენს რეპერტუარში საკმაო რაოდენობით იყო წარმოდგენილი პიესები თანამედროვე თემებზე (ვ. გაბესკირიას „გაზაფხულის დილა", ს. კლდიაშვილის „დაბრუნება", კ. კალაძის „ლალი", მუხტაროვის „ოჯახის ღირსება"), მაგრამ ჩვენ მიერ განხორციელებული ყველა თანამედროვე პიესა როდი იყო მხატვრულად სრულფასოვანი. გარდა ამისა, რეპერტუარში მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი მოძმე რესპუბლიკებისა და, რაც მთავარია, დიდი რუსი ხალხის თანამედროვე დრამატურგიას. თეატრს გადაწყვეტილი აქვს მომავალ სეზონში ეს ნაკლოვანება გამოასწოროს. ამ პირობის გასანაღდებლად უკვე გადადგმულია რეალური ნაბიჯები. ამჟამად ვამზადებთ და სეზონის მეორე ახალ სპექტაკლად ვუჩვენებთ ი. გალანის თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესას „სიყვარული გარიჟრაჟზე". მზადდება აგრეთვე დიდი რუსი მწერლის ლ. ტოლსტოის ცნობილი პიესა „ცოცხალი ლეში", რომელიც ნაჩვენები იქნება სეზონის პირველ ნახევარში. მეორე ნახევარში თეატრი განახორციელებს ვ. მინკოს სატირულ პიესას „პიროვნების დაუსახელებლად". დასადგმელად ვემზადებით აგრეთვე გამოჩენილი თურქი პროგრესული პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის პიესას „ლეგენდა სიყვარულზე".

ახალ სეზონს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი იწყებს 3 ოქტომბერს კ. მიუფკეს პიესით „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება" (პ. აბრაჰამსის რომანის მიხედვით). სპექტაკლში მთავარ როლებს ძირითადად თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდობა ასრულებს. გადაწყვეტილი გვაქვს ყოველ სეზონში გავმართოთ ერთი სპექტაკლი მთლიანად ახალგაზრდების მონაწილეობით. ეს ხელს შეუწყობს ახალი ნიჭიერი აქტიორული ძალების გამოვლინებასა და დაოსტატებას.

ქართული თანამედროვე დრამატურგია მომავალ სეზონში წარმოდგენილი იქნება პ. კაკაბაძის, ი. ვაკელის, ს. კლდიაშვილის, დ. თაქთაქიშვილის და გ. ქელბაქიანის ნაწარმოებებით.

მომავალ სეზონში დაგეგმილი გვაქვს კაპიტალურად აღვადგინოთ დიდი ქართველი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის ერთ-ერთი შესანიშნავი ნამუშევარი — ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში". სპექტაკლი აღდგენილ იქნება მთელი სიზუსტით, ისე, როგორც გაახრებული და განხორციელებული ჰქონდა კ. მარჯანიშვილს. ახალი გაფორმებითა და რეჟისორული გადაწყვეტით აღდგენილ იქნება უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა".

წელს, ისევე, როგორც წარსულ სეზონში, თეატრის მთელი კოლექტივი იბრძოლებს უკეთესი შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

**ი. ზვინჩიძე,**
კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლებისათვის

გასული სეზონი ჩვენი თეატრისათვის შემოქმედებითი მუშაობის აღმავლობით აღინიშნა. განვახორციელეთ თანამედროვე საბჭოთა დრამატურგების მთელი რიგი პიესების დადგმა. ა. კორნეიჩუკის „მაკარ დუბრავა", ვს. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია", ვ. დარასელის „კიკვიძე", ძმათა ტურების „მესამე ახალგაზრდობა", კ. მიუფკეს „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება" პოპულარობით სარგებლობენ მაყურებელთა შორის. კლასიკური რეპერტუარიდან ნაჩვენები იყო შილერის „ვერაგობა და სიყვარული".

წარმატებით ჩაატარა თეატრმა გასტროლები სოხუმსა და ბათუმში. სპექტაკლები გავმართეთ ოჩამჩირეში, გაგრაში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ჩაქვში, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და სხვა ადგილებში.

ახალ სეზონს გრიბოედოვის სახელობის თეატრი საკუთარი თავისადმი გაზრდილი მომთხოვნელობით ხვდება. თანამედროვე თემის ამსახველი სპექტაკლების შექმნა ჩვენი ძირითადი ამოცანაა. მაყურებელი სავსებით სამართლიანად მოითხოვს სცენაზე კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის წარმოსახვას, მისი ცხოვრებისა და შრომის, სიმამაცის, ფიქრებისა და გრძნობების მართლად, ცოცხლად გადმოცემას.

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მუშაობას შეუდგა ა. ს. გრიბოედოვის უკვდავ კომედიაზე „ვაი ჭკუისაგან", რომლის დადგმა განხორციელებულ იქნება მიმდინარე წლის ზოლოს. სპექტაკლს დგამს თეატრის მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. თაყაიშვილი, მხატვრულად აფორმებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ირ. შტენბერგი.

თეატრმა რეპერტუარში შეიტანა პიესა „პორტ-არტური", რომელიც ეხება რუსეთ-იაპონიის ომისდროინდელ ისტორიულ ამბებს (პიესა შექმნილია ა. სტეპანოვის ცნობილი რომანის მიხედვით).

დაიწყო უკრაინელი დრამატურგის ვ. მინკოს სატირული კომედიის „პიროვნების დაუსახელებლად" რეპეტიციები. სპექტაკლს დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ლეჟავაშვილი, მხატვრულად აფორმებს ე. ლონცვა.

წელს თეატრი გააუმჯობესებს მუშაობას ქართველ დრამატურგებთან. მ. მრევლიშვილი თეატრის დავალებით წერს პიესას „გრიბოედოვი"; დრამატურგმა ვ. დარასელმა დაამთავრა პიესა თანამედროვე თემაზე, რომელიც ასახავს რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. მას ამ დღეებში მოისმენს თეატრის სამხატვრო საბჭო. სამხატვრო საბჭო ეცნობა აგრეთვე თანამედროვე რუსი დრამატურგების საუკეთესო ნაწარმოებებს, რომ შეიტანოს ისინი რეპერტუარში.

დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავთან დაკავშირებით განვახორციელებთ რომან „ანა კარენინას" ინსცენირებას. ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავად აღვადგენთ სპექტაკლს „ძია ვანია".

წელს თეატრს შემატნენ ახალი შემოქმედებითი კადრები. დასში მიღებული არიან საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ვრუბლევსკაია, კ. სტანისლავსკის სახელობის მოსკოვის თეატრალური სასწავლებლის აღზრდილი ახალგაზრდა მსახიობი ა. პოგოდინა და სხვები.

ახალ სეზონში თეატრმა გააუქმა საბონემენტო სისტემა. სეზონი გავხსენით 19 სექტემბერს, სპექტაკლით „კიბოები".

თეატრის კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა სეზონისათვის. ჩვენს წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა — შევქმნათ იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლები, რომლებიც დააკმაყოფილებენ საბჭოთა მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას.

**დ. ანთაძე,**
ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

# მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი უძლეველია

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მთელ მსოფლიოში უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ძვრები მოხდა.

სახალხო-დემოკრატიული წყობილება დამყარდა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთსა და ალბანეთში. წარმოიქმნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკები. მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვა მრავალმილიონიანმა ჩინელმა ხალხმა. შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამრიგად, ჩამოყალიბდა სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის უძლეველი ბანაკი, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს. ეს ბანაკი ენერგიულად იბრძვის ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის.

იმპერიალისტური ბანაკისაგან განსხვავებით დემოკრატიული ბანაკი მტკიცე და ურღვევია. მას არა ღრღნის შინაგანი წინააღმდეგობანი. მისთვის უცხოა კაპიტალისტური ქვეყნების დამახასიათებელი კრიზისები, ანარქია... მისი ძალისა და პროგრესის უმნიშვნელოვანესი წყაროა ერთვნებათა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთსასარგებლო მჭიდრო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა, ზრუნვა მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, იმპერიალიზმის ბანაკისაგან განსხვავებით, განუხრელად იზრდება და მტკიცდება. მაშინ როცა დემოკრატიულ ბანაკში ეკონომიკა განუხრელი აღმავლობის გზით ვითარდება, მოისპო უმუშევრობა და ყველაფერი კეთდება მშრომელთა კეთილდღეობისათვის, იმპერიალიზმის ბანაკში საწარმოო ძალები ერთ ადგილს ტკეპნიან, იზრდება უმუშევართა რიცხვი, სიძვირე და მშრომელთა გაღატაკება. შინაგანი წინააღმდეგობებით დაუძლურებული კაპიტალისტური სისტემა სულ უფრო მეტ სიძნელეებს განიცდის.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძლიერებაზე მეტყველებს საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის მიერ გამომუშავებული ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებით.

ჩვენი ქვეყნის ყველაზე გაბოროტებული მტრებიც კი აღიარებენ, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა განუხრელად ვითარდება და მტკიცდება. 1925 წლიდან დღემდე განვლილი 28 წლის მანძილზე, სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 29-ჯერ. ახლა საბჭოთა კავშირი 21-ჯერ მეტ ფოლადს უშვებს, 19-ჯერ მეტ ქვანახშირს იღებს, 45-ჯერ მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს, ვიდრე 1925 წელს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი ამჟამად მიმართულია იქითკენ, რომ ორ-სამი წლის მანძილზე მკვეთრად ამაღლდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

ადამიანებისათვის დიდი ზრუნვით არის გამსჭვალული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებანი და ამ სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა. საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სამინისტროებში, უწყებებსა და სხვა საბჭოთა დაწესებულებებში სამუშაო დღის რეჟიმის შესახებ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ კიდევ უფრო შინაარსიანი და საამური გახდეს ყოველი საბჭოთა მოქალაქის ცხოვრება.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯის — საბჭოთა კავშირის შემდგომ გაძლიერებას, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის აღმავლობას ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების წარმატებით განხორციელება.

წარმატებით წყვეტს რა კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ბრძნულ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას.

„საბჭოთა მთავრობისათვის, ყველა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, — განაცხადა თავის სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გ. მ. მალენკოვმა, — მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საქმე ტაქტიკისა და დიპლომატიური მანევრირების საკითხს როდი წარმოადგენს. ეს ჩვენი გენერალური ხაზია საგარეო პოლიტიკის დარგში".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა მშვიდობის განმტკიცების მიზნით თანმიმდევრულად ახორციელებენ საგარეო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოების პოლიტიკას, იბრძვიან ქვეყნებს შორის ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისათვის. კაპიტალისტურ სამყაროში იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს სავაჭრო ურთიერთობა აქვს დამყარებული. დადებულია სავაჭრო ხელშეკრულებანი საფრანგეთთან, ირანთან, დანიასთან, საბერძნეთთან, ნორვეგიასთან, შვეციასთან, არგენტინასთან, ისლანდიასთან, საგადამხდელო შეთანხმება ეგვიპტესთან.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირს მოეპოვება ყველა სახეობის თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, საბჭოთა ხალხი არასოდეს თავს არავის არ დასხმია, არასოდეს დამუქრებია ვისმე და არც არავის ემუქრება. იგი კვლავ მტკიცედ მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნას შეთანხმება შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ, ატომური, ბაქტერიოლოგიური და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ. მშვიდობის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს, ყველა ქვეყნის ხალხთა მასების სურვილს გამოხატავს.

საბჭოთა კავშირთან ერთად იზრდება და მტკიცდება მთელი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ბანაკი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები სსრ კავშირის ყოველმხრივი მხარდაჭერით და დახმარებით წარმატებით აშენებენ სოციალიზმის საფუძვლებს, შეუპოვრად მუშაობენ ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, მშვიდობისა და დემოკრატიის მთელ ბანაკთან ერთად საბჭოთა კავშირმა ამ ბოლო დროს სერიოზული წარმატება მოიპოვა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში. მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი გამარჯვებაა კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა. ეს ომი მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა და უაღრესად სერიოზულ საერთაშორისო გართულებათა საფრთხეს შეიცავდა.

საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულმა და მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკამ უზრუნველყო ბერლინის ავანტიურის სამარცხვინოდ ჩაფუშვა. იმპერიალიზმის აგენტურა ფიქრობდა დაენგრია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც გერმანელი ხალხის მშვიდობის ძალთა დასაყრდენია. მას უნდოდა გერმანია მილიტარისტულ სახელმწიფოდ გადაექცია, ევროპის ცენტრში ხელმეორედ აენთო ომის კერა. ამიტომ ბერლინის ავანტიურის ლიკვიდაცია მშვიდობის საქმის დიდი გამარჯვებაა.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის, რამაც ხელი შეუწყო ორი ხალხის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირმა დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა ისრაელის სახელმწიფოსთან და ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ მოახდინა ელჩების გაცვლა იუგოსლავიასთან და საბერძნეთთან.

იმპერიალისტების დანაშაულებრივი გეგმებისათვის ლახვარის ჩაცემას და საბჭოთა სახელმწიფოს, დემოკრატიის, სოციალიზმისა და მშვიდობის მთელი ბანაკის გაძლიერებას ნიშნავს საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის, საბჭოთა ხალხის ვერაგი მტრის ბერიას მხილება და სამართალში მიცემა.

პროგრესული კაცობრიობა აღაფრთოვანა საბჭოთა მთავრობის ცნობამ ერთ-ერთი სახეობის წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ. ეს ფაქტი მოწმობს არა მარტო საბჭოთა კავშირის ძლიერებას, არამედ იგი მშვიდობის მთელი ბანაკის ძლიერებისა და მშვიდობის საქმის განმტკიცების საწინდარია.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ძლიერება ცოფსა გვრის ყველა ქვეყნის რეაქციონერებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ამერიკელი იმპერიალისტები. ისინი ჯიუტად ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ ომში ჩაითრიონ კაცობრიობა.

აგრესიული პოლიტიკის განხორციელების გზაზე აღმართულია უდიდესი დაბრკოლება მშვიდობისა და დემოკრატიის მტკიცედ დარაზმული ბანაკის სახით, რომელიც კაცობრიობის მესამედს აერთიანებს. ვისაც არ ესმის 800-მილიონიან თავისუფალ ხალხთა ერთიანი ოჯახის ძალა და ძლიერება, ვინც ფიქრობს, რომ თავისუფალ, სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დამდგარ ხალხებს ხელს აღებინებს სისხლითა და ოფლით მიღწეულ ისტორიულ მონაპოვარზე, იგი პირდაპირ სულელურ მდგომარეობაში იყენებს თავს. მთელი მსოფლიოსათვის ნათელია, რომ აგრესიული ძალები უკუღმა ვერ დაატრიალებენ ისტორიის ჩარხს.

მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა ძალები აურაცხელია. ეს ძალები ყოველდღიურად მრავლდება და მტკიცდება. მშვიდობისათვის იბრძვიან არა მარტო დემოკრატიული ბანაკის, არამედ კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებიც. ხალხები მუდამ ისწრაფოდნენ მშვიდობისაკენ, მაგრამ ამ მისწრაფებას არასოდეს არ მიუღია ისე დიდი გაქანება და ორგანიზებული ხასიათი, როგორც ამჟამად. ისტორიაში პირველად შეიქმნა მშვიდობის მძლავრი ფრონტი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით. მისი მიზანია იხსნას კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომისაგან და უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობა. მთელი მსოფლიოს მილიონობით კეთილი ნების ადამიანი მხარს უჭერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის გადაწყვეტილებას — სახელმწიფოთა შორის ყველა უთანხმოება მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით.

მოლაპარაკების სასარგებლოდ მსოფლიო მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობს ყველა საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაცია — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რომელიც აერთიანებს 80 მილიონ კაცს, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, რომლის რიგებშიც 75 მილიონზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკია, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც 135 მილიონ ქალს აერთიანებს, და სხვა მასობრივი ორგანიზაციები.

მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მუშათა და ყველა მშრომელთა ბრძოლას სათავეში უდგანან კომუნისტური პარტიები. 20-25 წლის წინათ საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების რიგებში გაერთიანებული იყო 500 ათასი კაცი. ამჟამად კი კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთ რიგებში დაახლოებით 20 მილიონ კაცს ითვლიან.

პროგრესულ კაცობრიობას სწამს, რომ მშვიდობისა და დემოკრატიის დიდი ბანაკი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

**ქ. ოტიაშვილი.**

## ფრანგ მშრომელთა მოქმედების ერთიანობისათვის

პარიზი, 30 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის მემარჯვენე სოციალისტების ხელმძღვანელობის ანტიმუშური პოლიტიკა სოციალისტური პარტიის რიგითი წევრების, ხოლო ხშირად თვალსაჩინო მოღვაწეების უკმაყოფილებას იწვევს. პრესა იუწყება, რომ სოციალისტური პარტიიდან გავიდა სოციალისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ფედერაციის საბჭოს წევრი ანრი გრე.

დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა გრეს წერილის ნაწყვეტები. „სოციალისტური პარტიის ზოგიერთი დეპუტატი, — წერს იგი, — ენერგიულ პროტესტს აცხადებს ახლანდელი მთავრობის პოზიციის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ეს რეაქციული მთავრობა და მისი უმეტესობა დღეს ხელისუფლების სათავეშია, ამისათვის რამდენადმე პასუხისმგებელი არიან სოციალისტი დეპუტატებიც, რადგან ისინი იყვნენ მომხრენი ბლოკირების სისტემისა, რომელმაც დაამახინჯა პარლამენტის უკანასკნელი არჩევნების შედეგები".

ანრი გრე გმობს აგრეთვე სოციალისტური პარტიისა და „ფორს უვრიერის" პროფკავშირთა ხელმძღვანელობის პოზიციას აგვისტოს გაფიცვის დროს.

## ინგლისის ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე

მარგეტი, 30 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 30 სექტემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა პროგრამული დოკუმენტის „ინგლისის გამოწვევის" იმ განყოფილებების შესწორებათა განხილვა, რომლებიც ნაციონალიზაციის საკითხებს ეხება. შესწორებანი მოითხოვდნენ შეეცვალათ დოკუმენტის ბუნდოვანი ფორმულირებანი კონკრეტული ვალდებულებებით — მოხდეს მრეწველობის ძირითადი დარგების, მათ შორის მთელი სამხედრო მრეწველობის ნაციონალიზაცია. პარტიის ხელმძღვანელობამ ყოველი ღონე იხმარა, რათა შეეკვეცა გუშინ დაწყებული მწვავე კამათი. თავმჯდომარე გრინვუდმა ნაციონალიზაციის მომხრეთ წაართვა კამათში მონაწილეობის შესაძლებლობა და სიტყვას აძლევდა მხოლოდ იმათ, ვინც მხარს უჭერდა ალმასკომის პოლიტიკას, რაც ჩამოყალიბებულია პროგრამულ დოკუმენტში.

დელეგატები მტრულად შეხვდნენ რეაქციონერ პროფკავშირულ ლიდერს არტურ დიკინს, რომელმაც ნაციონალიზაციის წინააღმდეგ ილაპარაკა. დელეგატებმა არაერთხელ შეაწყვეტინეს დიკინს სიტყვა შეძახილებით: „სირცხვილია!", „სისულელეა!". დასასრულ დელეგატებმა ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყეს დიკინს, რომელმაც რეგლამენტი დაარღვია. თავმჯდომარე ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სიწყნარე დაემყარებინა, მაგრამ დიკინის სიტყვის დასასრული აღშფოთებული დელეგატების ხმაურმა დაფარა.

კენჭისყრის შედეგად, რომელშიც გადამწყვეტი როლი მსხვილ პროფკავშირთა ხმების ბლოკმა შეასრულა, მეტი წილი შესწორებანი უარყოფილ იქნა, დანარჩენი კი ალმასკომს გადაეცა განსახილველად.

მკითხველის დასახმარებლად

## დავა ბარაინეს ოაზისის გარშემო

როგორც ჩვენს გაზეთში ვიუწყებოდით, უკანასკნელ პერიოდში კვლავ გამწვავდა კონფლიქტი ინგლისსა და საუდის არაბეთს შორის ბარაინეს ოაზისის გამო.

ბარაინეს ოაზისი მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულზე, სახელშეკრულებო ომანისა და




მასკატის სამთავროებს შუა. ოაზისის ფართობი დაახლოებით 28 ათასი კვადრატული კილომეტრია. მისი ცენტრია ოაზისი ბურაიმი (რომლის სახელსაც ხშირად მთელ ტერიტორიას უწოდებენ). მოსახლეობის რაოდენობა ცნობილი არ არის, რადგან აქ აღწერა არასოდეს არ მომხდარა. ოაზის ბარაინეს ტერიტორია თითქმის მთლიანად ქვიშიან უდაბნოს წარმოადგენს, უწყლოა და ღარიბია ბუნებრივი რესურსებით. 1949 წლამდე მისი ტერიტორიით არავინ დაინტერესებულა.

როგორც ცნობილია, საუდის არაბეთი, სპარსეთისა და ომანის უბეების სანაპიროებზე მდებარე სასულთნოები (კატარი, სახელშეკრულებო ომანი, მასკატი, ომანი, აბუ-დაბი და სხვ.) მდიდარია ნავთობით. 1949 წელს საუდის არაბეთში მომქმედი ამერიკული კომპანია „არამკოს" („არაბიენ ამერიკენ ოილ კომპანი") გეოლოგებმა ბარაინეს ოაზისის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ნავთობის მდიდარი საბადოები. ამის შემდეგ საუდის არაბეთმა და მოსაზღვრე სასულთნოებმა (მასკატი, აბუ-დაბი) ისარგებლეს იმით, რომ ოაზის ბარაინეს საზღვრები გარკვეული და დაზუსტებული არ არის, და მისი ტერიტორიის მიმართ წამოაყენეს პრეტენზიები. საუდის არაბეთსა და ოაზის ბარაინეს საზღვარზე გახშირდა შეტაკებები. საქმე იქამდე მივიდა, რომ საუდის არაბეთის ჯარისკაცთა რაზმმა გასული წლის აგვისტოში ოაზისში დაიკავა მოსაზღვრე სოფელი ჰამა, ინგლისელები კი გარშემოერტყნენ ოაზისს და იგი მოსწყვიტეს მომარაგების წყაროებს.

ასეთი კონფლიქტის ნამდვილი მიზეზია ინგლის-ამერიკის ბრძოლა ნავთობის ახალი საბადოებისათვის. გარდა ამისა, ოაზის ბარაინეს ტერიტორიაზე ინგლისელებს სურთ არა მარტო შეინარჩუნონ ნავთობის ახალი საბადოები, არამედ გამოიყენონ მისი სტრატეგიული მდებარეობა თავისი მნიშვნელოვანი საზღვაო და საავიაციო ბაზების დასაცავად.

ამერიკელმა დიპლომატებმა „შუამავლობა" სცადეს საუდის არაბეთსა და ინგლისს შორის არსებულ დავაში, მაგრამ ინგლისელებმა უარყვეს ამერიკელთა შუამავლობა. საუდის არაბეთის დელეგაციამ საჩივარი აღძრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინგლისის მოქმედების წინააღმდეგ.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

### 29 სექტემბრის დილის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საკდესი). 29 სექტემბერს გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე საერთო დისკუსიაში გამოვიდა ისრაელის წარმომადგენელი ებანი. მან ხოტბა შეასხა ამერიკის აგრესიას კორეაში, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას კორეის მიმართ და მთელ რიგ სხვა საკითხებში.

წესდების გადასინჯვის საკითხზე ებანმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ამ საკითხის განხილვას შეიძლება მოჰყვეს „როგორც ის დასკვნა, რომ წესდება შენარჩუნებულ უნდა იქნას, ისე ისიც, რომ დაიწყოს მისი გადასინჯვა". საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზია, განაცხადა ებანმა, არა „ვეტოს უფლება", არამედ უთანხმოება დიდ სახელმწიფოებს შორის.

შემდეგ ებანი შეეკამათა არაბთა დელეგაციებს, რომლებმაც ისრაელს ბრალად დასდეს გენერალური ასამბლეის რეზოლუციების დარღვევა და ძალადობა პალესტინის არაბი მოსახლეობის მიმართ.

ებანის გამოსვლით დამთავრდა საერთო დისკუსია. შემდეგ პლენუმს განსახილველად წარედგინა დელეგატთა რწმუნებების შემმოწმებელი კომიტეტის (სამანდატო კომისიის) მოხსენება. ამ მოხსენებაში რეკომენდებულია სწორად იქნას ცნობილი გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის ყველა დელეგატის რწმუნებანი.

ჯერ კიდევ კომიტეტის სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა გ. ნ. ზარუბინმა განაცხადა, რომ გომინდანელთა ჯგუფის წარმომადგენლებს არავითარი უფლება არა აქვთ წარმოადგენდნენ ჩინეთს და რომ მათი რწმუნებანი არ უნდა იქნას მიღებული, რამდენადაც ისინი უკანონოა. სსრ კავშირის წინადადება უარყო კომიტეტის უმრავლესობამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ხაზს მისდევს.

29 სექტემბერს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენელმა გ. ნ. ზარუბინმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „საბჭოთა კავშირის დელეგაცია ეთანხმება რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტის მოხსენების ყველა პუნქტს, გარდა მეხუთე პუნქტისა, რომელშიც ჩამოთვლილია ქვეყნები, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი წარმომადგენლების რწმუნებანი.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას შეაქვს წინადადება, როგორც ეს მან ქნა რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტის სხდომაზეც, გაუქმებულად ჩაითვალოს გომინდანელთა ჯგუფის წარმომადგენლების რწმუნებანი. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს უკანონოდ უკავიათ ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და არა აქვთ უფლება წარმოადგენდნენ ჩინელ ხალხს ასამბლეაში.

ამ ჯგუფის რწმუნებათა ცნობა აიძულებს საბჭოთა კავშირის დელეგაციას ხმა მისცეს რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტის მოხსენების დამტკიცების წინააღმდეგ". გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ, ინდოეთის წარმომადგენელმა პანდიტმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია განსახილველად დასვას საბჭოთა წინადადება. ამასთან მან დაიმოწმა გენერალური ასამბლეის უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის მუშაობის განმავლობაში არ იქნას განხილული წინადადებანი გომინდანელთა ჯგუფის წარმომადგენლების გარიცხვისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის წარმომადგენლებისათვის ადგილის მიცემის შესახებ.

ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა განაცხადა, რომ ინდოეთის დელეგაციას არ შეუძლია ხმა მისცეს კომიტეტის მოხსენებას. „ფორმოზის ხელისუფალთა" წარმომადგენლების რწმუნებანი, თქვა მენონმა, არ შეესაბამება გენერალური ასამბლეის პროცედურის წესების 27-ე წესის მოთხოვნებს დელეგატთა რწმუნებების შესახებ. (ეს წესი მოითხოვს, რომ დელეგატების რწმუნებები გასცეს ან სახელმწიფოს მეთაურმა, ან მოცემული სახელმწიფოს მთავრობის მეთაურმა, ან საგარეო საქმეთა მინისტრმა). შეეხო რა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის დადგენილებას, ინდოეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასამბლეის არავითარ რეზოლუციას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი, რადგან ამ შემთხვევაში უაზრო იქნებოდა ასეთი კომიტეტის შექმნა.

შემდეგ კენჭი უყარეს რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტის მოხსენებას. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ მოხსენების დამტკიცების წინააღმდეგ. ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს. 48 ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ხმა მისცეს მოხსენების დამტკიცებას.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ჯან ხან-ფუს პროტესტი ინგლისის მთავრობისადმი

პეკინი, 30 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯან ხან-ფუმ დღეს ინგლისის მთავრობის წარმომადგენელს პეკინში ჰ. ტრეველიანს გაუგზავნა საპასუხო წერილი ჩინეთის სამხედრო გემზე ინგლისის საკანონერო ნავისა და თვითმფრინავთა თავდასხმასთან დაკავშირებით.

9 სექტემბერს, ნათქვამია სინხუას სააგენტოს ცნობაში, ინგლისის საკანონერო ნავი და ინგლისის „მოსკიტოს" ტიპის ორი გამანადგურებელ-ბომბდამშენი პროვოკაციული მიზნით მოულოდნელად დაესხა თავს ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საპატრულო გემს მდინარე სიძიანის შესართავში, შიდა კუნძულ ლინტინის სამხრეთ-დასავლეთით, და კუნძულ ლინტინსა და ხოუნჯოუს შუა. საკანონერო ნავი და თვითმფრინავები წავიდნენ მას შემდეგ, რაც ჩინეთის გემმა და კუნძულ ლინტინზე მყოფმა საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა სროლა ატეხეს თავდაცვის მიზნით.

სამი დღის შემდეგ ინგლისის წარმომადგენელმა ჰ. ტრეველიანმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჯან ხან-ფუს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც „პროტესტი" განუცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფალთ და ცდილობდა უარეყო ინგლისის საკანონერო ნავისა და ინგლისის თვითმფრინავების მოქმედების პროვოკაციული ხასიათი.

ჯან ხან-ფუს საპასუხო წერილში დაწვრილებით არის მოყვანილი ინციდენტის ამბავი და დასასრულ ნათქვამია:

„ზემოხსენებული ფაქტების გამო ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიუღებლად მიაჩნია ინგლისის მთავრობის მიერ განცხადებული პროტესტი. ამით ცენტრალური სახალხო მთავრობა მტკიცე პროტესტს უცხადებს ინგლისის მთავრობას ზემოხსენებული პროვოკაციული მოქმედების და ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემისა და „მოსკიტოს" ტიპის ინგლისის ორი გამანადგურებელ-ბომბდამშენის უეცარი თავდასხმათა გამო და სურს, რომ ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა ასეთი ინციდენტები აღარ გამეორდეს".

## ინგლისის ორი სამხედრო ხომალდის დაჯახება

ლონდონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების მანევრების დროს, რომელიც მიმდინარეობს ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, ინგლისის კრეისერი „სვიფტშური" დაეჯახა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანს „დაიამონდს" ისლანდიის სამხრეთით 80 მილზე.

საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ეკიპაჟთა წევრებს შორის 32 კაცი დაშავდა. იმაზე არაფერია ნათქვამი, თუ რა ხასიათისაა გემების დაზიანება.

## ამერიკელები აფერხებენ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციას

პეკინი, 30 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

დაბრუნებული ჩინელი ტყვეები ამბობენ, რომ ამერიკელებმა იმ ბანაკებში, რომლებსაც ინდოეთის ჯარები იცავენ, თავიანთი აგენტები შეგზავნეს იმ კორეელ და ჩინელ წარმომადგენელთა მოსატაცებლად, რომლებმაც ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა გასწიონ ამ ბანაკების სამხედრო ტყვეებში.

ჩან კაი-შის აგენტების მეთაურმა გო ტიან-მინმა 15 სექტემბერს ტყვეებს განუცხადა: „ჯანსაღმა ტყვეებმა უნდა დაიჭირონ ახსნა-განმარტებითი მუშაობის გასაწევად გამოყოფილი ყოველი კომუნისტი იმ მომენტში, როცა იგი მარტო მიდის და ხმა გააკმენდინონ. შემდეგ ტყვეებმა კარავში უნდა შეათრიონ იგი. იქ მივლენ ამერიკელები და გადაიღებენ ამ ადამიანის ფოტოსურათს. მთელ მსოფლიოს აცნობებენ, რომ ამ ადამიანმა პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა და არა სურს დაბრუნდეს კომუნისტებთან". ეს განაცხადა ლი ცინ-ჩუანმა — ერთერთმა 65 ჩინელი ტყვიდან, რომელნიც 27 სექტემბერს კორეა-ჩინეთის მხარეს გადასცა ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ.

კუნძულ ჩეჯუდოს სამხედრო ტყვეთა ამერიკულ ბანაკში ლი ცინ-ჩუანი ადმინისტრაციულ სამუშაოს ასრულებდა. 26 აგვისტოს ჩან კაი-შის აგენტების მეთაურმა ფან ძიმ ამერიკელთა სამხედრო პოლიციის შტაბში სათათბიროდ შეკრიბა აგენტები და ადმინისტრაციული პერსონალი სამხედრო ტყვეთა რიცხვიდან. ლი ცინ-ჩუანი დაესწრო ამ თათბირს და გაიგონა, რომ ფან ძიმ თქვა: „ჩვენ გადავწყვიტეთ გაგზავნოთ თქვენთან ერთად ბანაკებში, რომლებსაც ინდოელები იცავენ, ათობით ადამიანი ტაივანიდან. 10 კაცი შეაღწევს იქ როგორც ტყვე, ხოლო დანარჩენები, როგორც გაერთიანებული ერების წარმომადგენლები და კორესპონდენტები". 7 სექტემბერს ბანაკში მივიდა ამერიკული სამხედრო ფორმით გამოწყობილი ოცზე მეტი გომინდანელი აგენტი, რომელთაც მეთაურობდა გო ტიან-მინი. ლი ცინ-ჩუანმა განაცხადა, რომ აგენტებს შორის, რომლებიც ტყვეებთან ერთად ბანაკში მოჰყვნენ, იყო აგრეთვე ცნობილი აგენტი ვან ჩუნ-ცინი და რომ ამ აგენტებმა დამალული რადიოდანადგარი შეიტანეს ბანაკში.

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ციურიხი, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. ბრონშტეინმა ზუსტად გაანალდა თავისი პოზიციური უპირატესობა და გაიმარჯვა რეშევსკიზე. ეს არის ამერიკელი გროსმაისტერის პირველი დამარცხება ტურნირში.

ეივე — გელერისა და შტალბერგ — კოტოვის პარტიებიც საბჭოთა გროსმაისტერების გამარჯვებით დამთავრდა.

ტაიმანოვმა ყაიმი გააკეთა რეშევსკისთან და წაავო გლიგორიჩთან.

17 ტურის შემდეგ კვლავ წინ არის სმისლოვი, რომელსაც 10,5 ქულა აქვს.

პირველი წრის შემდეგ მონაწილეთა ადგილები ტურნირის ცხრილში შემდეგნაირად განაწილდა:

სმისლოვი — 9,5, ბრონშტეინი და რეშევსკი — 8,5, ნაიდორფი — 8, ბოლესლავსკი, პეტროსიანი და ეივე — 7,5, კერესი და ტაიმანოვი — 7, კოტოვი — 6,5, ავერბახი, გელერი, საბო და გლიგორიჩი — 6, შტალბერგი — 3,5.

## დაპატიმრებანი თურქეთში

სოფია, 30 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, თურქეთის გაზეთი „მილეთი" იუწყება, რომ 16 სექტემბერს სტამბოლში დააპატიმრეს მშენებელ მუშათა პროფკავშირის 11 წევრი, რომელთაც ბრალად ედებათ „კომუნისტური პროპაგანდა".

## თურქეთს ჩავიდნენ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი

სტამბოლი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სტამბოლს ჩამოვიდნენ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ლანიელი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბიდო.

## დიხ-თაუს ჩრდილოეთი კედლის დაპყრობა

მთასვლელთა ჯგუფმა ა. ნემსიწვერიძის (ხელმძღვანელი), გ. გულბანის, რ. კვიციანის და ს. გუგავას შემადგენლობით, რომელმაც შარშან მოახდინა კავკასიონის მთავარი ქედის მონაკვეთის სარეკორდო ტრავერსი, ახალი გამარჯვებით დააგვირგვინა 1953 წლის მთასვლური სეზონი.

ეს ჯგუფი ავიდა ბეზენგის რაიონში მდებარე დიხ-თაუს მწვერვალზე (5.198 მეტრი) ჩრდილოეთი კედლით.

ასვლას წინ უძღოდა კედლის დეტალური გაცნობა. შესწავლილ იქნა ქვათაცვენისა და ზვავების ყველა შესაძლებელი მიმართულება, კედლის ცალკეული უბნის პროფილები, ღამის სათევი ადგილები.

იერიშის პირველ დღეს მიყირგის ყინვარის გავლის შემდეგ მთასვლელები 2.800 მეტრის სიმაღლეზე მიადგნენ კედლის ფუძეს. აქედან დაიწყო ცოცვა შვეულ კლდეებზე. მთასვლელებს მოუხდათ მთელი ძალების დაძაბვა, რათა ემოძრავათ რაც შეიძლება სწრაფად. წარმატების საკითხს წყვეტდა ყოველი მოგებული საათი. მცირე გაავდრებაც კი შეუძლებელს გახდიდა წინსვლას, მოყინავდა საყრდენ წერტილებს და ჯგუფს საფრთხეში ჩააგდებდა. არც კარვის გასაშლელი ადგილი იყო კედლის მთელ სიგრძეზე, ნორმალური დასვენება ღამის საათებში გამორიცხული იყო. პირველივე ღამემ ეს დაამტკიცა. მეტად მცირე მოედანზე ძლივს მოთავსდა 4 მთასვლელი.

იერიშის მეორე დღეს მთასვლელები არანაკლები სიძნელის წინაშე აღმოჩნდნენ. სიმაღლესთან ერთად მატულობდა მოყინული უბნები. საყრდენები იმდენად მცირე ზომისა იყო, რომ შეუძლებელი გახდა ხელთათმანების ხმარება. დღის ბოლოსათვის გავლილ იქნა კედლის სიგრძის ნახევარზე მეტი. ღამე წინანდებურად კლდეზე მიბმულებმა გაატარეს.

იერიშის მესამე დღეს, როდესაც მთასვლელები გავიდნენ კედლის ზემო წელზე, მკვეთრად იმატა ყინულოვანმა უბნებმა. მოძრაობა გაძნელდა. ღამემ მთასვლელებს მოუსწრო იქ, სადაც კლდეებს გიგანტური დაკიდებული ყინულის კედელი აწვებოდა. ამიტომ კლდეებზე ღამის გატარების შესაძლებლობა გამორიცხული იყო. ჯგუფი იძულებული გახდა გადასულიყო ყინულზე. აქ [illegible] თითოეულისათვის [illegible] საფეხური, [illegible] დასაჯდომად, [illegible] დასადგმელად. ყინულის პალოებით და თოკით მიებნენ ყინულის კედელს, რომ დაძინების შემთხვევაში ქარაფებზე არ გადაჩეხილიყვნენ.

მეოთხე დღე ჯგუფმა მთლიანად მოანდომა ყინულოვანი მონაკვეთის დაძლევას, რომლითაც გვირგვინდებოდა დიხ-თაუს კედელი. მთასვლელები მოძრაობდნენ საფეხურების ჭრით. სიმაღლე უახლოვდებოდა 5.000 მეტრს. საკმაოდ იგრძნობოდა ჟანგბადის სიმცირე, საჭირო ხდებოდა ხშირი შესვენება. ამ უბნის სიძნელეზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯგუფმა მთელი დღის დაძაბული მუშაობით შეძლო მხოლოდ 150 მეტრის გავლა. შეღამებისას ოდნავ იკლო დაქანებამ.

მეხუთე დღეს მთასვლელებმა დაძლიეს კედლის უკანასკნელი მონაკვეთი და გამარჯვებულებმა შედგეს ფეხი დიხ-თაუს მწვერვალზე.

ამ გამარჯვებით ალპინიზმის ისტორიაში იწყება ბრძოლა 5.000 მეტრზე უფრო მაღალი მწვერვალების დასაპყრობად მათი უძნელესი გზებით — ჩრდილოეთის კედლებით. ასეთი გზა შემთხვევით როდი აირჩია ა. ნემსიწვერიძის ჯგუფმა. გასული წლების ასვლებმა ჯგუფის წევრები უძლიერეს საბჭოთა მთასვლელთა რიგებში ჩააყენა. ეს კი მათგან მოითხოვდა ისეთი რთული კლასის სარეკორდო ასვლის განხორციელებას, როგორიც არის დიხ-თაუს ჩრდილოეთი კედლის დაპყრობა.

გარდა ამ ასვლისა ჯგუფმა მოახდინა ცალკეულად ყოშთან-თაუს მწვერვალის (5.145 მეტრი) და ერთობლივად დიხ-თაუს ორივე მწვერვალის, პუშკინის პიკისა და უსახელო მწვერვალის ტრავერსი, ასვლა მიყირგიზე. ამ ტრავერსებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ლ. ახვლედიანი და ჯ. გუგავა, დამხმარე ჯგუფი ა. სირბილაძის, რ. ნემსიწვერიძის და ვ. გაბელაშვილის შემადგენლობით.

ო. გიგინეიშვილი.



სურათზე: დიხ-თაუს მწვერვალის ჩრდილოეთი კედელი. წყვეტილი ხაზებით ნაჩვენებია ა. ნემსიწვერიძის ჯგუფის მიერ განვლილი გზა. წრეებით აღნიშნულია ღამის სათევი ადგილები.

## ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრი ქუთაისში

ქუთაისი. (საქ. კორ.). აქ საგასტროლოდ იმყოფება ლვოვის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი.

თეატრმა 24 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ქუთაისელებს უჩვენა დუნაევსკის „თავისუფალი ქარი", ა. სტრელნიკოვის „ყმა ქალი", გ. კრეიტნერისა და გინის „დუენია", ე. კალმანის „სილვა", ა. რიაბოვის „ქორწილი მალინოვკაში", ოფენბახის „ჟიუსტინა ფავარი". გასტროლების დასასრულს თეატრი გამართავს პოპულარული ოპერეტების საღამოს.

თეატრს განზრახული აქვს შემოქმედებითი შეხვედრა მოაწყოს საავტომობილო ქარხნის, მანქანათმშენებელი ქარხნისა და ქალაქის სხვა მსხვილ საწარმოთა კოლექტივებთან.

## ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

3 ოქტომბერს დილის 10 საათზე მოეწყობა სემინარი საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკებისათვის თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი". სემინარის ხელმძღვანელია დოც. გ. გამსახურდია.

## „საქართველოს კომუნისტი" № 9

გამოვიდა და ხელმომწერლებს ურიგდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 9.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები:

**საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვის** მოხსენების გამო;

**ნ. ს. ხრუშჩოვი** — მოხსენება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ;

**საინფორმაციო ცნობა** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

**რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.**


### თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად

მონაწილეობენ:

ჩინეთის და კორეის მსახიობები, აგრეთვე საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

დიდი პარადი-პროლოგი „ხალხთა მეგობრობა" დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 4 ოქტომბერს, დღის 2 საბავშვო წარმოდგენა. დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

### ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 2 ოქტომბერს | ჯ. ვერდი — ტრავიატა |
| 3 ოქტომბერს | ლ. დელიბი — ლაკმე |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გაზეთ „კომუნისტში" 1953 წ. 2 სექტემბერს გამოქვეყნებულ განცხადების დამატებით **ქ. თბილისის ლომბარდი** აცხადებს დამგირავებელთა საყურადღებოდ, რომ იმ გირაოთა და შესანახად მობარებულ ნივთების გამოყიდვა, რომელთაც ჯერ არ დასდგომიათ გამოსყიდვის ვადა, იწარმოებს ა. წ. 1 ნოემბრამდე.

ვადაგადაცილებული გირაოები რეალიზებულ იქნება და ასეთ გირაოთა შესახებ ლომბარდი არავითარ პრეტენზიას არ მიიღებს.

საქართველოს პროფსაბჭოს ცემის სანატორიუმის თანამშრომლები იუწყებიან **ნიკოლოზ გოგუაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მარიამ, შვილები ივანე, ნინო, დარეჯან, რძალი ქეთევან, შვილიშვილები გურამ, მარინე იუწყებიან **პავლე ესტატეს-ძე ლომაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-X, 8 ს. გამოსვენება 4-X, 2 ს. კალანდაძის ქ. № 32.

ვ. ფანიევი, ა. ცქიტიშვილი, ვ. მახარაძე, შ. ჭედია, ი. კუჭაიძე, დ. სამადბეგიშვილი, ე. მირზოიანი, ლ. თავართქილაძე იუწყებიან **გიორგი სიმონის-ძე ომანიძის** გარდაცვალებას.

ნ. ცომაია, რ. ვაჩნაძე, ნ. ქველიძე, თ. კვაჭაძე, ვ. მარსაგიშვილი, თ. თაყაიშვილი, ლ. გაგუა იუწყებიან **ექვთიმე პავლეს-ძე ხარბედიას** გარდაცვალებას.

**„გლავხიმსბიტის" თბილისის კანტორა** (მაჩაბლის ქ. № 2) აცხადებს დაინტერესებული ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ 1953 წლის 1 ოქტომბერს „გლავხიმსბიტის" თბილისის კანტორის ყველა საწყობში დაიწყო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სრული ინვენტარიზაცია 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

1953 წლის 1 ოქტომბრამდე გამოწერილი ყველა ანგარიში იმ საქონელზე, რომელიც კლიენტურის მიერ გატანილი არ არის, 1953 წ. 1 ოქტომბრიდან უქმდება.

16 ოქტომბრამდე, ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით საწყობებიდან საქონელი არ გაიცემა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები იუწყებიან, რომ 4-X, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **გურამ ილიას-ძე ღვთისავრიშვილის** პანაშვიდი.

დედა ლიზა ლეჟავა, მეუღლე ნიკო ტარასაშვილი, და თინა, შვილები შოვინა, მაისა, ლალი, სიძე ჟ. ლეჟავა, შვილიშვილი პაატა, დეიდა კატო ჭიჭინაძე იუწყებიან, რომ 4-X, 4 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დოცენტ **მერი ლეჟავას** პანაშვიდი.

შვილები ნინო, გიორგი, დავით, ვლადიმერ, რძლები ლუსია, მარიამ, ანტონინა მირიანაშვილები შვილებით, სიძე ბ. ბილანიშვილი, შვილიშვილი თამარ იუწყებიან **ფენია ივანეს ასულ მირიანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-X, 8 ს. გამოსვენება 4-X, 3 ს. ძნელაძის ქ. № 4.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1953 წლის 16 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, საქტო დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად **აკაკი კონსტანტინეს-ძე გაწერელია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ქართული კლასიკური ლექსი (VII-XVIII ს ს)".**

ოფიციალური ოპონენტები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **კ. კეკელიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **ს. ყაუხჩიშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პ. ბერაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ს. ჭილაია**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

დები მარიამ კავსაძე, ვარა გოგიბედაშვილი, თამარ ლომიძე, დისწულები ივანე, არჩილ, ვერა კაპანაძეები, ძმისწულები გიორგი, ელენე, ილია დეკანოზიშვილები ოჯახებით იუწყებიან **ნატალია მათეს ასულ ბებურიშვილის** გარდაცვალებას.

დედა ანა, ძმა პავლე, დები მარიამ, ოლია ოჯახებით, რძალი მილია, ძმისწულები ლია, გურამ, ზურაბ, ვლადიმერ თოდრიები იუწყებიან **მადლენა ვლადიმერის ასულ თოდრიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-X, 8 ს. გამოსვენება 4-X, 3 ს. გორკის ქ. № 25.

შვილები ანა, ნინო, დავით, ივანე, ალექსანდრე ნადაშვილები, რძლები მარიამ, ლიდა, ირინე შვილებით, სიძე კარლო ჩემია, და თებრო იუწყებიან **ოლია საბას ასულ ნადაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-X, 8 ს. გამოსვენება 4-X, 2 ს. ჯავახიშვილის ქ. № 21.

მეუღლე პელაგია, შვილი ლენა, სიძე გ. სამხარაძე შვილებით, დები ლიზა, მაშო, ნინო, ძმა ალექსანდრე ოჯახებით, კ. მაჭარაძე მეუღლით, კ. კიკალიშვილი იუწყებიან **მიხეილ ხილოვანის-ძე ხიამაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-X ქუთაისში ჭავჭავაძის VIII შესახ. № 9.

შვილები სპირიდონ, დავით, სანდრო, დესპინე, რძლები ზინობია, მაკრინე, ალექსანდრა, გალინა, ლეილა და შვილიშვილები იუწყებიან **ზაქარია პეტრიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-X სოფ. სარეკში (საჩხერის რაიონი).

თბილუნივერმაღის კოლექტივი იუწყება **ექვთიმე პავლეს-ძე ხარბედიას** გარდაცვალებას.

შვილები მარიამ, ნინო, ალექსანდრე, დორა ყიფშიძეები, სიძეები კ. თოფურიძე, დ. კაჭარავა, მ. დიდიძე, რძალი ჯ. ეფენდიევა, შვილიშვილები და ნ. ნიჟარაძე იუწყებიან, რომ 4-X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ილია თევდორეს-ძე ყიფშიძის** პანაშვიდი.

შვილები კლიმენტი, დავით, ელენე, მარო, ანა, რძლები ქსენია, თამარ, სიძეები ა. ესვანჯია, ი. ბუაძე, გ. კვარაცხელია და შვილიშვილები იუწყებიან **მიხეილ გარსევანის-ძე ვაჩიბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-X ქუთაისში, გამოსვენება სამხედრო ქ. № 29.

მშობლები თინა ზაუტაშვილი, სიმონ ომანიძე, და ნინო იუწყებიან პატარა **გიორგის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-X, 8 ს. გამოსვენება 3-X, 5 ს. ბროსეს ქ. № 5.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა, ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 02108

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"